# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 17 მაისი 2007 №110 (3033)

ფასი 50 თეთრი

# დღეს: ყრილობა და პრეზიდენტი დღეს!

ყველაფერი მოგვარებულია, ახლა გადაწყვეტილებების მიღების დროა. დღეს 11 საათზე ეროვნული გუნდის ბაზაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მე-13, რიგგარეშე ყრილობა გაიმართება. დღის წესრიგში სულ ორი საკითხია: ფედერაციის პრეზიდენტისა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა არჩევნები.

როგორც ფედერაციის გენერალური სამდივნო ამბობს, ამ ყრილობის ჩატარება ფორსმაჟორულმა სიტუაციამ განაპირობა და თან ამის გამო, თან ფიფა-უეფასთან კონსულტაციების შემდეგ, დღევანდელ ყრილობაზე ხმის უფლება იმავე 32 დელეგატს ექნება, რომლებიც 13 მაისის ყრილობაზე ხმოსნობდნენ.

გუშინ კი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის სურვილი ორმა კანდიდატმა გამოთქვა — დღეს ერთმანეთს მამუკა კვარაცხელია და ნოდარ ახალკაცი დაუპირისპირდებიან და, ფაქტობრივად, ისიც გარკვეულია, რომ პრეზიდენტის სავარძელში ისევ ნოდარ ახალკაცი ჩაჯდება. უკვე ცნობილი მოვლენების შემდეგ გიორგი ნემსაძემ თავისი კანდიდატურა აღარ წამოაყენა, რაც მოსალდონელი იყო.



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 25 | 18 | 6 | 1 | 53:7 | 60 |
| დინამო | 25 | 19 | 2 | 4 | 53:17 | 59 |
| ამერი | 25 | 16 | 6 | 3 | 50:14 | 54 |
| ზესტაფონი | 25 | 15 | 9 | 1 | 52:10 | 54 |
| ვიტ ჯორჯია | 25 | 12 | 9 | 4 | 40:25 | 45 |
| სიონი | 25 | 11 | 4 | 10 | 28:23 | 37 |
| ტორპედო | 25 | 9 | 4 | 12 | 22:31 | 31 |
| ბათუმი | 25 | 8 | 6 | 11 | 25:26 | 30 |
| ბორჯომი | 25 | 8 | 6 | 11 | 28:33 | 30 |
| ლოკომოტივი | 25 | 7 | 6 | 12 | 20:33 | 27 |
| მერანი | 25 | 5 | 8 | 12 | 17:41 | 23 |
| ჩიხურა | 25 | 5 | 6 | 14 | 13:41 | 21 |
| დილა | 25 | 2 | 6 | 17 | 16:56 | 12 |
| კახეთი | 25 | 0 | 2 | 23 | 20:81 | 2 |

# 201



ტაში და ქება ზურაბ იონანიძეს! „ზესტაფონის“ ფორვარდმა ეროვნულ ჩემპიონატებში გატანილ 200-გოლიან ნიშნულს გადააბიჯა და პირველი ქართველი გახდა, ვინც ეს მოახერხა.

— თელაველთა კარში ორი გოლი გავიტანე და ორას გოლს გადავაჭარბე. ეს ძალიან კარგი შეგრძნებაა, თანაც მთელი სტადიონი ჩემს გოლს ელოდა. ცოტას გავიხუმრებ და ვიტყვი, რომ ჩემი სახელობის ორასიანთა კლუბიც გავხსენი და ამით ძალიან ბედნიერი ვარ.

ამ ორასერთში ბევრი გოლი გადამწყვეტი იყო, მაგრამ ახლა გამორჩევა ნამდვილად მიჭირს. ჩემთვის თითოეული გოლი ძვირფასია. ფეხბურთიდან წასვლას ჯერ არ ვაპირებ და ღვთის ნებით, სანამ ვითამაშებ, ჩემი საქმე გოლების გატანა იქნება — გვითხრა გუშინ „კახეთთან“ თამაშის მერე ჩვენი ჩემპიონატების მთავარმეგოლემ.

**ნუკრი ლოლაძე**

# სევილიამ ესპანიოლი დალაქა



# რუსთავი ბურთის თავშია: ოლიმპი და აზოტი ოქროს ადნობენ

ერთი ქულით ნაკლები რომ ჩაეგდო, რუსთავის „აზოტი“ მთლად იმ ანგარიშით იმარჯვებდა ფინალური სერიის მეორე მატჩში, როგორითაც პირველში, თუმც ამას ვინ ჩივის, მოგებას კბილი არ გაესინჯება და მით უფრო ახლა, როცა ქვემოქართლელები ასე ახლოს არიან სანუკვარ მიზანთან. „აზოტმა“ ფინალური სერიის მეორე რუსთავულ ჯახშიც დაამარცხა მოქმედი ჩემპიონი „ავიამშენი“ და თუკი ხვალ ან ზეგ თბილისშიც იძალებს, ჩემპიონი გახდება.

თუ ბედ-იღბალმა ქვემოქართლელებს თბილისში ზურგი აქცია და ფინალური სერია მეხუთე, გადამწყვეტ მატჩამდე მივიდა, ის საჩემპიონო სუპერფინალი სწორედ რუსთავში გაიმართება, სადაც „აზოტი“ მიმდინარე სეზონში ჯერაც დაუმარცხებელია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერაბ რატიანი დააკავეს

თბილისის „მერანის“ ვიცე-პრეზიდენტი მერაბ რატიანი შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს.

რატიანი პირადადაც გაჩხრიკეს და საცხოვრებელი ბინაც შეუმოწმეს, რის შედეგადაც პრეპარატ სუბოტექსის 32 აბი უპოვეს. სოდ-მა გამოძიება დაიწყო.

# აი, ჩვენი ცენზეული

# ფედერაციამ უმაღლესი ლიგა ლიცენზიებით გაანახევრა



სალიცენზიო საქმეების გამგებელი ლალი ლობჟანიძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში საკლუბო ლიცენზირების კომიტეტის სხდომა გაიმართა და 2007-08 წლების ევროტურნირებში მონაწილეობის ლიცენზია შვიდ უმაღლესლიგელს მიეცა: „ოლიმპს“, „ამერს“, „დინამოს“, „ზესტაფონს“, „ვიტ ჯორჯიას“, „სიონს“ და „ბორჯომს“.

ამ ჩემპიონატის შედეგებით „სიონისა“ და „ბორჯომის“ ევროტურნირებზე გასვლა გამორიცხულია — აქ უბრალოდ მითითებულია, რომ საგზურის მოპოვების შემთხვევაში მათ ევროთასზე თამაშის უფლება მიეცემოდათ.

აქვე ვთქვათ, რომ ლიცენზიაზე უარი უთხრეს სამ პირველლიგელ გუნდს: „მესხეთს“, „მგლებსა“ და „მეშაქრეს“.

ლიცენზირების ვერმიღებით უკმაყოფილო კლუბებს 22 მაისამდე შეუძლიათ ლიცენზირების მენეჯერის სახელზე წერილობითი აპელაციის შეტანა.

საქართველოს თასის
ყაზბეგის გათამაშების
ფინალი
26 მაისი ეროვნული სტადიონი
ამერი
VS
ზესტაფონი
www.pfl.ge
დასაწყისი 20:00 საათზე - ბილეთის ფასი 2. 3. 5 ლარი
მთავარი სპონსორი
GEOCELL
ოფიციალური სპონსორი
ფოლკსვაგენი
VOLKSWAGEN
პარტნიორი
აქსისი
სპონსორები
BANK OF GEORGIA
I'm lovin' it
საინფორმაციო მხარდაჭერა
სარბიელი
ოლიმპი
FORTUNA
ფორტუნა
11×11
24 Hours

**იყიდება**

6 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ნუცუბიძის IV მ/რ ახლოს, სოფელ-აგარაკთან, მუხათწყაროს გზის ნაპირზე.
ფასი შეთანხმებით. ტელ: 893 42-74-94

**დღეს დილით საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ბარგი ჩაალაგა და შოტლანდიაში გაფრინდა, სადაც 23-28 მაისს სამი მნიშვნელოვანი მატჩი მოელის — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ელიტ-რაუნდში პორტუგალიის, შოტლანდიისა და თურქეთის ნაკრებებს გაეჯიბრება. ჯგუფიდან მხოლოდ პირველადგილოსანი გავა რვაგუნდა ფინალურ ეტაპზე, რომელიც ავსტრიაში გაიმართება. „საქართველოსთან სამივე მეტოქე გამარჯვებას გეგმავს, მაგრამ ჩვენი მიზანი პირველი ადგილია და ვგრძნობთ, რომ ეს შეგვიძლია“ — გვითხრა გუშინდელ პრესკონფერენციაზე ქართველ 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა ჰაინც ტოპმიოლერმა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა მოახლოებულ მატჩებზე**



# თუ სენსაციაა, სენსაცია იყოს

## ჰაინც ტოპმიოლერის ტელეფონი წკრიალებს

— ელიტ-რაუნდის საგზური შარშან რუმინეთში მოვიპოვეთ, სადაც ძალიან კარგი თამაშით ბელგიის ძლიერ გუნდს ვაჯობეთ. ელიტ-რაუნდში გასულ 28 ნაკრებში არაა უკრაინა, რაც ნათლად ამტკიცებს, რომ არც საკვალიფიკაციო ეტაპზე ყოფილა ადვილი თამაშები.

...ჩვენი ჯგუფი განსაკუთრებით ძლიერია. ეროვნული ნაკრებების რეიტინგის მიხედვით, პორტუგალია მეშვიდეა, თურქეთი 21-ე, საქართველო კი 85-ე. ცხადია, ჩვენი პირველ ადგილზე გასვლა დიდი სენსაცია იქნება, მაგრამ სწორედ სენსაციისთვის მივდივართ.

...მეტოქეებს ვაკვირდებოდი და არცერთ ცუდად შევისწავლე: აპრილში პორტუგალიაში ვიყავი და მათ თამაშს დავესწარი გერმანიასთან. საკვალიფიკაციო ეტაპზე თურქეთი — ჩეხეთი ვნახე, რომელიც ლუქსემბურგში გაიმართა. რაც შეეხება შოტლანდიას, მათ საკვალიფიკაციოში სამივე თამაში მოიგეს, ბურთების შეფარდება კი 11:0 ჰქონდათ. მათი მეტოქე იყო გერმანიაც, რომელსაც 1:0 სძლიეს. ქაღალდზე შოტლანდია ჯგუფის მთავარი ფავორიტია — პირველ რიგში იმიტომ, რომ მასპინძელია. კარგი იქნება, მსაჯები თუ არ გაგვწირავენ, ასეთ ტურნირებში ამის საკმაო ალბათობაა.

...ჩვენს მოსამზადებელ პროცესზე ვიტყვი, რომ ნაყოფიერი შეკრება გვქონდა ლუქსემბურგში, სადაც გერმანიის 19-წლამდელებს ვეთამაშეთ. ამ მატჩის შემდეგ ჩემს ტელეფონზე ბევრი ზარი გაისმა, სხვადასხვა ევროპული კლუბების სკაუტებს ქართველი მოთამაშეები მოეწონათ და ისინი თუ შოტლანდიაშიც კარგად ითამაშებენ, ევროპისკენ გზა ხსნილი ექნებათ. ოღონდ გვარებს ვერ დავაკონკრეტებ, რადგან მინდა, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა მხოლოდ მოახლოებულ მატჩებზე იფიქრონ.

...გერმანიასთან 0:2 კი წავაგეთ, მაგრამ ძალიან კარგად ვითამაშეთ. ყველა აღფრთოვანებული იყო ჩემი ბიჭებით, საქართველო ნამდვილ ფეხბურთს თამაშობს და დიდი პერსპექტივა. აქვსო.

...აპრილში ესპანეთთან და ხორვატიასთან გვინდოდა თამაში, მოლაპარაკებებიც მიმდინარეობდა, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატში გადამწყვეტი მატჩების დროს კლუბები ფეხბურთელთა გამოშვებით იზარალებდნენ და ამას მოვერიდეთ.

...ნაკრების 18-კაციან სიაში 11 მოთამაშე 1988 წელსაა დაბადებული, ოთხი — 1989 წელს, სამიც — 1990-ში. ყველაზე უმცროსები გიორგი მაკარიძე, ლევან ყენია და ლევან მჭედლიძე არიან. მათ ელიტ-რაუნდში თამაშს სხვა დატვირთვა აქვს: დიდ ნაბიჯს გადადგამენ, გამოცდილებას მიიღებენ და საგაისო ციკლში შედარებით დაღვინებულები იქნებიან. ანუ ორი წლით წინ წავიგდებთ საქმეს.

...სამწუხაროდ, დანაკლისს ვერ ავცდით: „ამერის“ მცველები, დავით მჭედლიშვილი და გიორგი ელბაქიძე შოტლანდიაში ვერ მოდიან. მჭედლიშვილი ავადმყოფობის გამო დაგვაკლდა, ელბაქიძე კი საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო ტურში გააძევეს და სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. და მაინც, მტკიცედ მჯერა, რომ საქართველოს ფინალურ ეტაპზე გასვლა შეუძლია.

...დღეს საღამოს გუნდს „ბასაზე“ შევკრებთ, შოტლანდიაში კი ხვალ დილით 17 ფეხბურთელით გავემგზავრებით და ქალაქ დანდიში დავბინავდებით. ლუშტენაუს „აუსტრიას“ ნახევარმცველ მირზა ბჟალავას კი 18 მაისს თავის კლუბში თამაში აქვს და 19-ში პირდაპირ შოტლანდიაში შემოგვიერთდება. სქოთები დაგვპირდნენ, რომ 19 მაისისთვის სპარინგ-მეტოქეს მოგვინახავდნენ — ასეც რომ არ მოხდეს, რამდენიმე იქაურ ფეხბურთელს დავიმატებთ და ორმხრივად ვითამაშებთ...

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობა ახლახანაც გაგაცანით და დღესაც გავიმეოროთ ჩვენი ჯგუფის კალენდართან ერთად:

***მეკარეები:*** *რევაზ თევდორაძე (დილა), გიორგი მაკარიძე (დინამო);*

***მცველები:*** *გულვერდ თომაშვილი (დინამო), გიორგი ხიდეშელი, ამირან სანაია (ზესტაფონი), ზურაბ გვაძაბია (ამერი);*

***ნახევარმცველები:*** *გიორგი განუგრავა (უკლუბო), ნიკოლოზ ქვასხვაძე, ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი), მირზა ბჟალავა (აუსტრია, ლუსტენაუ, ავსტრია), გიორგი ნიკოლაიშვილი (ამერი), ლევან ყენია (ლოკომოტივი), დავით თარგამაძე (დინამო);*

***თავდამსხმელები:*** *ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ვახტანგ ფანცხავა (გაგრა), რევაზ ბარაბაძე (დნიპრო, უკრაინა).*

23 მაისი

**საქართველო — პორტუგალია**

**შოტლანდია — თურქეთი**

25 მაისი

**შოტლანდია — საქართველო**

**თურქეთი — პორტუგალია**

28 მაისი

**საქართველო — თურქეთი**

**შოტლანდია — პორტუგალია**

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა II წრე. 25 ტური

# რა საჭიროა მსაჯი?

## ქუთაისელ ძოძუაშვილს ქუთაისი აშინებს

რუსთავი. 16 მაისი. 17 საათი. ფოლადი. 6 000 მაყურებელი

### ოლიმპი 0:0 ამერი

| ოლიმპი | ამერი |
|---|---|
| ოლიმპი: მერლანი, გენაძე, გ. კახელიშვილი, ძამსაშვილი, ჭიჭველიშვილი, გ. ონიანი, მახვილაძე, რ. გოცირიძე, ქებაძე, აფციაური (ბერუაშვილი 88), სეთურიძე<br>სათადარიგონი: მ. ალავიძე, ხუბუა, ჩხარტიშვილი<br>მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი | ამერი: ქვაჩახია, დავითნიძე, დობროვოლსკი, ხვადაგიანი, დიდავა, ჩიკვილაძე, ბოლქვაძე (ჯელაძე 60), დოლიძე, ს. დავითაშვილი (ტატანაშვილი 80), დეკანოსიძე, რ. წინამძღვრიშვილი (ჩიმაკაძე 85)<br>სათადარიგონი: ნაჭყებია, ელბაქიძე, მეხბი, კაკაშვილი<br>მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |

გაფრთხილება: დავითნიძე (15), წინამძღვრიშვილი (17), ძამსაშვილი (20), ჩიკვილაძე (84)

მსაჯები: მ. მაისურაძე; ს. სპიცინი, მ. ურუშაძე; ვ. გუმბერიძე

დამკვირვებელი: ნ. კაკულია

კობა ინასარიძე რუსთავიდან



რუსთავის „ოლიმპის" მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი გუშინწინ ღამით ერთ-ერთი ტელეკომპანიის სტუდიაში იჯდა და ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებსა და ქართული ფეხბურთის სიწმინდეებზე ლაპარაკობდა, გუშინ კი მისმა გუნდმა კინაღამ თითქმის განაღდებული ჩემპიონობა დაკარგა... პირველი ტაიმის ბოლოს გიორგი დეკანოსიძის ახლოდან დარტყმული ცოტა მარცხნივ რომ წასულიყო, ანაც მეორე ტაიმის შუაში რატი წინამძღვრიშვილს ოდნავ რომ გამართლებოდა და მის დარტყმულ ბურთს ხარიხა არ შეეზანზარებინა, ვეჭვობთ, რუსთაველებს „დინამოსთან" ქულებში უპირატესობა შეენარჩუნებინათ... თუმცა „ოლიმპი" ამას ალბათ მაინც მოახერხებდა. მოკლედ და მისახვედრად რომ ვთქვათ, მოედანზე ფეხბურთელების გარდა არბიტრი მალხაზ მაისურაძე და მისი ასისტენტები სპიცინი და ურუშაძეც იყვნენ.

თბილისის „დინამოს" საჩემპიონოდ ერთადერთი შანსი რჩებოდა — სწორედ ეს მატჩი, რომელიც სტუმრებს უნდა მოეგოთ. „ამერს" კი თავის პრობლემაც ჰქონდა, „ყვითლები" მესამე საპრიზო ადგილისთვის იბრძვიან.

ორივე გუნდმა თითქმის უძლიერესი შემადგენლობები ათამაშა და თავიდანვე ცხადი გახდა, რომ მეტად დაძაბულ და უკომპრომისო მატჩს ვნახავდით.

„ამერის" მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ რევაზ ძოძუაშვილს საკუთარი იარაღი დაუპირისპირა. სტუმრებმა მასპინძლებს თითქმის მთელი მოედანი დაუთმეს და მათ შეტევებს საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან ხვდებოდნენ. ბურთიც და მოედანიც „ოლიმპის" იყო, მაგრამ მთელი ტაიმის განმავლობაში რუსთაველებს რაიმე რეალური საგოლე მომენტი არ ჰქონიათ. „ამერის" დაცვა ყოჩაღობდა, ნახევარმცველები და ფორვარდებიც ბევრს მოძრაობდნენ. აშკარად ჩანდა, რომ „ამერი" თავის შანსს ელოდა, მაგრამ... შანსი შესვენებამდე თბილისელებს სულ ერთხელ მიეცათ, გრიგოლ დოლიძის პასის შემდეგ, როგორც უკვე ვთქვით, დეკანოსიძე იყო მიზანთან ძალიან ახლოს. „ამერს" „ოლიმპის" კართან მიახლოება კიდევ ბევრჯერ შეეძლო, მაგრამ ძალიან, ძალიან ხშირად მსაჯების უხეირო შეცდომების გამო ამას ვერ ახერხებდა. ერთიორჯერ მაისურაძისა და ურუშაძის საეჭვო გადაწყვეტილებებმა თავად რუსთაველი ქომაგების აღშფოთებაც კი გამოიწვია. აღშფოთდნენ ქომაგები, მაგრამ არ შეუთავდნენ „ამერის" ფეხბურთელები, ისინი ღიმილით ხვდებოდნენ არბიტრის საეჭვო დასტვენებს და გაკვირვებულები მხოლოდ მხრებს იჩეჩავდნენ.

შესვენების შემდეგ მოედანზე ბევრი არაფერი შეცვლილა. ეგ იყო, რომ მეორე ტაიმის პირველსავე წუთზე უკვე „ოლიმპმა" გამოიჭირა „ამერი" კონტრშეტევაზე. სტუმართა ნახევარზე ბურთი მარცხენა ფლანგიდან რევაზ გეწაძემ წაიღო, საჯარიმოსთან მიახლოებულმა სეხნია გოცირიძეს კედელი გაუთამაშა და ლონივრად, ერთი შეხედვით ზუსტადაც დაარტყა, მაგრამ „ამერი" ზურაბ ქვაჩახიამ გადაარჩინა. მართლაც ლამაზი კომბინაცია იყო და თითქმის სავსე ტრიბუნებიც „ოლიმპის" გოლის მოლოდინში კიდევ უფრო დაიმუხტა. თუმცა გოლი ისეც ვერ ვნახეთ.

რუსთაველები ბურთს შესვენების შემდეგაც უფრო აკონტროლებდნენ, მაგრამ „ამერიც" ისევ ყურადღებით თამაშობდა და გარკვეულ მანძილამდე მეტოქეს აღარ იახლოვებდა. სამაგიეროდ კი, დეკანოსიძემ წინამძღვრიშვილს გაუკეთა ერთი ისეთი პასი, რატის სულ ორიოდ სანტიმეტრი დააკლდა მიზნამდე. „ოლიმპს" გაუმართლა. მერე კი მატჩი ლამის ყოველ ორ წუთში ერთხელ ჩერდებოდა, ფეხბურთელები ტრავმას იმიზეზებდნენ, ერთხელ კი საქმეც გაარჩიეს. ჯამში ხუთი-ექვსი წუთი ისე დაიკარგა, როგორც არაფერი, ხოლო მაისურაძემ... მოკლედ ამ მატჩის მსაჯობას მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტი ალბათ კიდევ მიუბრუნდება, ჩვენ კი, ვფიქრობთ, ამ საკითხზე სათქმელი უკვე ვთქვით.

...წინამძღვრიშვილის საგოლე შანსის მერე ერთი ხიფათი „ამერის" კართანაც შეიქმნა, აფციაურმა სტუმართა კარის გასწვრივ დაბალზე ჩააწოდა, მაგრამ ბურთზე ფეხის წარტყმა კახელიშვილმა ველარ მოასწრო. ცხადია, „ოლიმპისთვის" ფრეც კი გამარჯვების ტოლფასი იყო და კაცს ენა არ მოუბრუნდება, თქვას, მასპინძლებმა დარჩენილ დროში დაცვა რატომ გააძლიერესო. გააძლიერეს და აკი სასურველი შედეგიც მიიღეს.

კიდევ ერთი საინტერესო ამბავი კი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მოხდა. რევაზ ძოძუაშვილმა ფრიად საგულისხმო რამ თქვა.

— ქუთაისელი კაცი ვარ და ბოლო ტურში ქუთაისში „ტორპედოსთან" თამაშიც კი მეშინია. „დინამო" კუდში მოგვდევს და ხანდახან ორ მეტოქეს ერთად ვებრძვით. ჩემპიონატის აუტსაიდერებს „ოლიმპმა" პრემიალურების სახით კარგი ფული აშოვნინა. „ოლიმპი" ამითაც კარგ საქმეს აკეთებს. გორში „დილა" ისე დაგვხვდა, თითქოს მტრები ჩავსულიყავით, ასე იყო „ბორჯომთან" მატჩის დროსაც. „ტორპედოს" მეორე წრეში სულ ერთი მატჩი აქვს მოგებული და მეორეს რაღა ჩვენთან მოიგებენ?!

„ოლიმპის" მწვრთნელმა სიტყვებით, აუტსაიდერებს კარგი ფული ვაშოვნინეთო, რისკენაც მიანიშნა, ვფიქრობთ, გასაგები უნდა იყოს.

— დღეს „ოლიმპმა" სამი და ოთხი ფორვარდითაც ითამაშა. ფრეც გვაწყობდა. 60 პროცენტი დაცვას, 40 — შეტევას, ასეთი ჰარმონიული ტაქტიკით ვითამაშეთ — ესეც „ოლიმპის" მწვრთნელმა თქვა.

გიორგი ჩიხრაძე: ორივე გუნდისთვის მნიშვნელოვანი მატჩი იყო. ჩვენ სამეული გვინდა, „ოლიმპს" — ჩემპიონობა. ველოდით, რომ ხისტი თამაში იქნებოდა, საგოლე შანსები ორივე გუნდს ჰქონდა. მსაჯობაზე რა ვთქვა..? შეიძლება, მსაჯი ცდებოდა, მაგრამ ამას შედეგზე გავლენა არ მოუხდენია.

მატჩის შემდეგ კი ერთი ძალიან უსიამოვნო ინციდენტიც მოხდა, „ოლიმპის" მწვრთნელმა და ერთერთმა წარმომადგენელმა „ამერის" თავკაც გიორგი ჩიხრაძეს საწყენი სიტყვები აკადრეს... ეს კი ნამდვილად ცალკე საუბრის თემაა...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · II წრე. 25 ტური

# ჩემპიონა!

# 201

ზესტაფონი. 16 მაისი. 17 საათი. ცენტრალური. 4 000 მაყურებელი

## ზესტაფონი 7:0 კახეთი

1:0 ონიანი (19), 2:0 იონანიძე (59), 3:0 ჭელიძე (60),
4:0 იონანიძე (68), 5:0, 6:0, 7:0 ჭელიძე (79, 87, 88)

| ზესტაფონი | კახეთი |
|---|---|
| **ზესტაფონი:** გ. ქანტურია, საჯაია, ს. თოდუა, შ. ლონლაძე, კ. ჩხეტიანი (ბ. ნოზაძე 68), რ. ონიანი, კესანი, ჟონატასი, გ. ჭელიძე, ფიფია (გ. ჩხეტიანი 62), იონანიძე (ლეანდრო 69) სათადარიგონი: რ. კვასხვაძე, ძარია, ბუკია, სანტოსი | **კახეთი:** გ. იაშვილი, მ. ხიდეშელი, მურველაშვილი, იოსებაშვილი, ბიბილაშვილი, კუპრაშვილი, ჩუთლაშვილი (აბდულაევი 63), გ. ხიდეშელი (ბურნაძე 75), ბიძინაშვილი (მელიქიშვილი 63), მედოევი, ტეტიაშვილი |
| **მწვრთნელი:** თემურ მახარაძე | **მწვრთნელი:** ვასილ არუდაშვილი |

**გაფრთხილება:** კუპრაშვილი (56)

**მსაჯები:** ვ. ელისაბედაშვილი; ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე; ხ. გაგნიძე

**დამკვირვებელი:** ო. რუხაძე



გიორგი ჭელიძემ პოკერი გაშალა



**გოჩა ჯანაშია ზესტაფონიდან**

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებს მოყოლილმა აჟიოტაჟმა ერთგვარად დაჩრდილა ეროვნული ჩემპიონატის ეს ტური, თუმც ასეც რომ არ ყოფილიყო, ამ მატჩს, აბა, რა ინტრიგა უნდა ჰქონოდა?! მოსაყოლგასარჩევიც ბევრი არაფერია. უმაღლეს ლიგას გამოთხოვებულმა კახელებმა მორიგი სირცხვილი იგემეს.

იმერელთა უპირატესობა თვალსაჩინო იყო და საგოლე მომენტებსაც თვლა არ ჰქონდა, მაგრამ მასპინძლებმა „კახეთის" აწიოკება მეორე ტაიმისთვის მოიტოვეს.

პირველი გოლი როინ ონიანმა გიორგი ჭელიძის პასით მე-19 წუთზე გაიტანა და შესვენებამდე გოლი აღარც გვინახავს. სამაგიეროდ, მეორე ტაიმში ორმა მასპინძელმა გამოიდო თავი. ზურაბ იონანიძემ ორჯერ იხეირა და ძალიანაც გაიხარა — 201 „ეროვნულ" გოლს მოუყარა თავი. აი, ჭელიძემ კი საიუბილეო გოლით თუ არა, პოკერით ისახელა თავი. ნაირ-ნაირი გამოდგა მათი გოლები. იონას პირველი ულამაზესი თავური იყო, რომელიც იმავ ჭელიძის ფლანგურ ჩაწოდებას მოჰყვა. მეორე კი საჯარიმოს რკალიდან დარტყმულ ჯარიმას მოჰყვა. ჭელიძე ორი გოლის ასისტენტი ხომ იყო და, იონას გოლებშუა პირველი გაიტანა, მერე კი მატჩის მიწურულს, 10-წუთიან მონაკვეთში, მთლად გაილაღა და ზედაც სამი დაამატა. ორჯერ ლეგიონერების — ლეანდროსა და კესანის პასებით იმარჯვა, ერთხელაც ბექა ნოზაძის ასისტენტობით.

გორი. 16 მაისი. 17 საათი. ძართლი. 30 მაყურებელი

## ჩიხურა 0:5 დინამო

0:1 ფეიქრიშვილი (12), 0:2 იაშვილი (25),
0:3 მერებაშვილი (54), 0:4 გ. კაშია (67), 0:5 ხუციშვილი (70)

| ჩიხურა | დინამო |
|---|---|
| **ჩიხურა:** მწყერაშვილი, გულიაშვილი (ივანიშვილი, 74), როგავა, ხვედელიძე, ი. გვეტაძე, ქუხილავა, მეტონიძე, ვ. გვეტაძე, ბუცხრიკიძე, ლ. ვაშაკიძე, გ. მიქაძე | **დინამო:** გრიშიკაშვილი, შ. კაშია, გ. კაშია, კრშკო (ხმალაძე 71), შაშიაშვილი, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, ფეიქრიშვილი (ოდიკაძე 63), ხუციშვილი, გ. მერებაშვილი, ს. იაშვილი (სპასოევიჩი 68) |
| **მწვრთნელი:** ვახტანგ თურმანიძე | **მწვრთნელი:** დუშან უჰრინი |

**მსაჯები:** ა. ნინიკაშვილი; ი. უკლება, ზ. ერქვანია; ზ. ასკაროლლი

**დამკვირვებელი:** ტ. ნიშნიანიძე

## ვაი, რომ ერთი ტურიღაა

**ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან**

**მე-12 წუთზე** გიორგი ფეიქრიშვილმა დავით დილმელაშვილის პასით გაიტანა და „ჩიხურას" განადგურებას სათავე დაუდო. არც მანამდე, არც დარჩენილ 78 წუთში საჩხერელებს პატარა შანსიც კი არ მისცემიათ — დინამოელებს კარგი ვარჯიში გამოუვიდათ.

რა უნდა თქვა თამაშზე, სადაც ნებისმიერ წუთს შეიძლება გოლის გატანა, მაგრამ ეს არა ერთი გუნდის დიდი ოსტატობის, არამედ მეორის უნიათობის გამოა. „დინამოს" დისკვალიფიცირებული ნედ ზელიჩი აკლდა, ვის ნაცვლადაც დუშან უჰრინმა გურამ კაშია ათამაშა და ახალგაზრდა მცველმა გოლიც გამოაცხო: თავური დარტყმით 0:4 გახადა.

მანამდე დინამოელთაგან ბომბარდირმა სანდრო იაშვილმა და გიორგი მერებაშვილმა იხეირეს: პირველმა ფეიქრიშვილის პასით გაიტანა, მეორემ კი მრავალსვლიანი კომბინაცია დაასრულა გოლით. ანგარიში კი 70-ე წუთზე მიხეილ ხუციშვილმა გაახუთა, რომელმაც შეცვლაზე შესული ილია სპასოევიჩის პასი შეიშნო. „დინამო" ერთი ქულითღა ჩამორჩება ლიდერ „ოლიმპს", მაგრამ ვაი უჰრინის გუნდისთვის, რომ ჩემპიონატის დასრულებამდეც ერთი ტური დარჩა და თუ სასწაული არ მოხდა, საქართველოს 12-გზის ჩემპიონები მეორე ადგილს დასჯერდებიან.

## კურიოზს ხომ ვერ გაიხსენებდით...

**მიხეილ ჟორჟოლიანი მცხეთიდან**

მცხეთა. 16 მაისი. 17 საათი. არმაზი. 50 მაყურებელი

## ვიტ ჯორჯია 1:1 დილა

1:0 ბერიაშვილი (33), 1:1 ბედიაშვილი (7ჯ.კ.)

| ვიტ ჯორჯია | დილა |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე (ინჯგია 64), გ. მელქაძე, ბეჟვაია, სახოკია (კვალინაძე 67), ლუჟაშვილი (კლიმიაშვილი 62), ბერიაშვილი *სათადარიგონი: კაიშაური; ადამაძე, ი. კიკნაძე* | **დილა:** თევდორაძე, ბალაშვილი, აბრამიშვილი (ლომიძე 46), ბალიაშვილი, დ. ხანიშვილი, კობახიძე, სადალაშვილი (ნ. ნოზაძე 32), ვარდოსანიძე, გ. წინამძღვრიშვილი (ლომაშვილი 46), ბ. ჩიტაია, ტლაშაძე *სათადარიგონი: კეჩხუაშვილი; გონჩაროვი, თაყაძე, კ. ხანიშვილი* |
| **მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე | **მწვრთნელი:** მამუკა ვარდოსანიძე |

**გაფრთხილება:** ხანიშვილი (34), ტლაშაძე (42), ბალიაშვილი (77), თევდორაძე (90)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია; თ. ხუჭუა, დ. კურტანიძე; ლ. სილაგავა

**დამკვირვებელი:** მ. ჭელიძე

**იააააა** — დაიძახა გრიგოლ ბედიაშვილმა გიორგი ვარდოსანიძის პარაშუტივით დაკიდებულ ბურთზე, მაგრამ ხელიდან გაუვარდა და კარისკენ წავიდა, „ვიტ ჯორჯიას" მეკარე შეეცადა, შეცდომა გამოესწორებინა, თუმცა ბურთს კარის ხაზს შიგნითღა მიუსწრო. არადა, ბურთი არც კარში მიდიოდა და არც ბედიაშვილს უშლიდა ხელს ვინმე. ასე თუ მოახერხებდა „დილა" ანგარიშის გათანაბრებას, თორემ გორელები გოლის გამტანს არ ჰგავდნენ. ერთადერთი ნახევარმომენტი დავით ტლაშაძეს 48-ე წუთზე ჰქონდა, თუმც ნამეტანი არაზუსტად დაარტყა.

კურიოზულ გოლამდე მცხეთელები კი იგებდნენ, მაგრამ ვარსკვლავებს არც ისინი წყვეტდნენ. საერთოდაც, ეს სიმპათიური გუნდი მეორე წრეში ვეღარ იცნობა — გოლებიც ცოტა გააქვს და ქულებსაც ბლომად აჩიავებს.

ვეტერინარებს დაწინაურება მე-2 წუთზევე შეეძლოთ — გიორგი ბერიაშვილი რევაზ თევდორაძესთან პირისპირ დარჩა, თუმც სანამ რამეს მოიფიქრებდა, მეკარე და მცველები ფეხებში ჩაუხტნენ და ბურთიც ააცალეს. „ვიტ ჯორჯია" უფრო სწრაფად მოძრაობდა და უპირატესობაც ამის წყალობით მოიპოვა, სახიფათო მომენტებამდე კი საქმე ვეღარ მიჰყავდა. გორელთა მცველებიც კარგად იდგნენ, თუმც 35-ე წუთზე მათაც ჩაეძინათ, ბერიაშვილი ისევ მარტო დარჩა მეკარესთან და ამჯერად შანსი აღარ წაუხდენია.

მეორე ტაიმში მამუკა ვარდოსანიძემ შეცვლებს მიმართა და ქართლელებმა თამაში გაათანაბრეს, თუმც აზრიანი თამაში გაჩაღდა, ამასაც ვერ ვიტყვით. მე-60 წუთზე გიორგი მელქაძის პასის შემდეგ გიორგი ბეჟვაიამ ნახევარბრუნში დაარტყა და თევდორაძის ხარიხა შეაზანზარა. ამის მერე თამაში ისევ მოკვდა და ზემოთ ნახსენებმა კურიოზულმა გოლმა გამოაცოცხლა. „ვიტ ჯორჯიას" უკვე გავარდნილ გუნდთან ქულის დაკარგვა არ სურდა და „დილას" დილამდე შეუტევდა, მსაჯს უფლება რომ მიეცა: ბერიაშვილმა სანტიმეტრები დააკლო სიზუსტეს; მისივე ჩაწოდებული ბურთი ლომაშვილმა კინაღამ საკუთარ კარში ჩაჭრა — თევდორაძემ ივარგა; კვალინაძის დარტყმული დავით ხანიშვილმა კარიდან გამოიტანა; დავით ლომაიას თავური თევდორაძემ მოიგერია; ალექსანდრე კვახაძემ ექვსიოდე მეტრიდან კარს აცილა; პირისპირ დარჩენილ ბერიაშვილს ბურთი ბოლო წამს აართვეს; ლომაიამ თავით მოსინჯა ხარიხის მდგრადობა; ბერიაშვილმა ისევ აცილა... ამასობაში მსაჯის სასტვენიც გაისმა და გორელებს ისე გაუხარდათ, თითქოს ამ ქულით უმაღლესში დარჩენილიყვნენ.

# საქართველოს 18 ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა · II წრე. 25 ტური

# მთლად ნუ მოგვიწ–ყენია–თ

თბილისი. 16 მაისი. 17 საათი. მიხეილ მესხი. 300 მაყურებელი

## ლოკომოტივი 3:1 სიონი

1:0 ალავერდაშვილი (11), 2:0 ყენია (37), 2:1 უგრეხელიძე (83), 3:1 კირკიტაძე (90)

| ლოკომოტივი | სიონი |
|---|---|
| ლოკომოტივი: გვარამაძე, დ. ფოფხაძე, გ. კვახაძე, გუშარაშვილი (კუპრეიშვილი 46), ებრალიძე, მალიჩავა, სამხარაძე, მ. ღლენტი, ალავერდაშვილი (სოხელია 86), ყენია, ვ. გოჩაშვილი (კირკიტაძე 90) სათადარიგონი: მიგინეიშვილი; ჩომახიძე, გულორდავა, ბარბაქაძე მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე | სიონი: ბობღიაშვილი, დ. სვანიძე (რაქვიაშვილი 46), ლ. ჭელიძე, ფრიდოლინი, კობაური, ოქრომჭედლიძე, ლ. ბაჯელიძე (ვ. უგრეხელიძე 46), ბაბუნაშვილი, ბ. ცხადაძე, ჩასემი (ჩაგელიშვილი 56) სათადარიგონი: მამალაძე; გიგინეიშვილი, ზ. ჩხეტიანი მწვრთნელი: კახა ცხადაძე |

გაფრთხილება: ღლენტი (41), კუპრეიშვილი (73)

მსაჯები: ო. ხეცაძე; ო. მოლოდინაშვილი, კ. გუდურაშვილი; მ. ბეუქლიშვილი

დამკვირვებელი: ე. სილაგავა

ილია ნანობაშვილი

მე-5 წუთზე „სიონმა“ კარგი კომბინაცია გაითამაშა, „ლოკომოტივის“ მეკარე დავით გვარამაძემ სტუმართა მიხეილ კობაურის საშიოდ მეტრიდან დარტყმული ფეხით მოიგერია. ცოცხლად დაიწყო თამაში და მთლიანობაში ისეთი მშინარე ბურთაობა ნაღდად არ ყოფილა, როგორსაც საქართველოს ჩემპიონატის მოტივაციანაკლულ მატჩებზე ვართ ხოლმე ნაჩვევი. გემრიელი გოლები გავიდა და ამან არ დაგვაძინა, თორემ თამაშის ხარისხით არ გადავრეულვართ...

მასპინძლებმა „სიონს“ ვერგატანა არ აპატიეს და მე-11 წუთზე ლევან ყენიას ჭკვიანური პასის შემდეგ გიორგი ალავერდაშვილმა მოხდენილი გასროლით მეკარისგან ახლო კუთხეში ჩააჭედა ბურთი — 1:0. კარგი გოლი იყო, ნებისმიერი კალიბრის მატჩს რომ დაამშვენებდა, ისეთი.

თამაშის გამწვავებას ორივე გუნდი ცდილობდა, თუმც საგოლე მომენტამდე საქმე ვერ მიჰყავდათ. ბოლნისელთაგან ისევ კობაურს ეტყობოდა ენთუზიაზმი, დანარჩენები კი ძალიან დუნედ ირჯებოდნენ.

და ისევ ყენია! „ლოკომოტივმა“ რომ უმაღლეს ლიგაში ადგილი დაიბევა, 16 წლის ბიჭს უნდა უმადლოდეს — ლევანი თითქმის ორი კვირა „შალკეს“ 19-წლამდელთა გუნდში იყო გასინჯვაზე, სამი დღის წინ ჩამოვიდა და გუშინ თბილისელთა მოგებაც დიდწილად მან განაპირობა: 37-ე წუთზე ყენიამ 22-25 მეტრიდან ცხრიანში ჩაახვია საჯარიმო და ანგარიში გაზარდა — 2:0.

ტაიმის მიწურულს „სიონმა“ უჩხვლიტა გვარამაძის კარს, მაგრამ კობაურის პასს შოთა ბაბუნაშვილმა უზუსტო დარტყმა მიაყოლა.

მეორე ნახევარში „სიონს“ გამოცოცხლება არ დასტყობია, ვერც შეცვლებმა გაუმართლა კახა ცხადაძეს და „ლოკომოტივსაც“ ნება-ნება მიჰყავდა საქმე მოგებისკენ. კარგი შანსები გაუცუდდათ რკინიგზელთა ვლადიმერ გოჩაშვილს, ირაკლი სამხარაძესა და ალავერდაშვილს.

ქვემოქართლელებმა კი 83-ე წუთზე შეარბილეს ანგარიში, როცა ვლადიმერ უგრეხელიძე მასპინძელთა მცველებს შორის აღმოჩნდა, ერთი მოძრაობით მეკარეს პირისპირ შეეყარა და დაბალ კუთხეში შეაგდო — 2:1 და „სიონს“ გასათანაბრებლად დრო ჰქონდა, მაგრამ პირიქით, მასპინძლები უფრო აქტიურები იყვნენ — ჯერ სამხარაძემ ააცილა, მერე კი ყენიასაც სანტიმეტრები დააკლდა პირველი გოლის გამეორებამდე.

სულ ბოლო წუთზე კი „ლოკომოტივმა“ მაინც გაიტანა: გაგა კირკიტაძე ხეირიანად არც იყო შესული მინდორზე, რომ სიონელთა მეკარე მინდია ბობღიაშვილთან პირისპირ დარჩა, მოატყუა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი — ესეც 3:1.



ლევან ყენიას საჯარიმო დარტყმას მინდია ბობღიაშვილმა ვერაფერი მოუხერხა

გურამ [illegible] ფოტო

თბილისი. 16 მაისი. 17 საათი. შევარდენი. 100 მაყურებელი

## მერანი 2:0 ტორპედო

1:0 დეისაძე (5), 2:0 გაგუა (90)

| მერანი | ტორპედო |
|---|---|
| მერანი: სეფიაშვილი, კეტაშვილი, ჯანგიძე, აფშილავა (ოსიტაშვილი 24), ბესარაშვილი, ბურჯანაძე (დათუნაშვილი 75), ზედელაშვილი, გაგუა, ნეფარიძე, დეისაძე (ცისკარაული 55), ქორიძე სათადარიგონი: ლომიძე; ჩაჩიბაია, კობერიძე, ჩივაძე მწვრთნელი: ასლან ბალაძე | ტორპედო: ოდიშარია (ქვილითაია 46), ხარებავა, ტაბიძე, ხურცილავა, ა. კვერნაძე, კაშია (ვაჩიბერაძე 65), ზივზივაძე, კირკიტაძე, კიკვიძე (ნაჭყებია 42), ნ. ნადირაძე, მდივნიშვილი სათადარიგო: არავინ მწვრთნელი: დავით ჯანაშია |

მსაჯები: დ. სანაია; ზ. ჯვარიძე, ა. კოკაია; გ. ვადაჭკორია

დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე

# პლეი ოფ!
## მერანი დიდ ორმოს გადაახტა

ნუკრი ლოლაძე

უმაღლესში ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლმა „მერანმა“ მე-5 წუთზევე გაიტანა — ზედელაშვილმა რამდენიმე მცველი მოატყუა, ზედ მეკარეც მიაყოლა და ცარიელ კართან მოდარაჯე იაკობ დეისაძეს გაატანინა.

სტუმრებს გათანაბრება მალევე შეეძლოთ, მაგრამ ლევან მდივნიშვილს კონსტანტინე სეფიაშვილმა არ დაანება. მე-15 წუთზე მერანელთა ვეტერანმა გიორგი ქორიძემ საჯარიმოს გარედან ძლიერად, მაგრამ არაზუსტად დაარტყა. შემდეგ კი თამაშმა მიიძინა და მეორე ნახევარის დაწყებამდე აღარც გაუღვიძია.

„ტორპედოს“ ახალმა მწვრთნელმა დავით ჯანაშიამ შესვენებაზე, ეტყობა, თავისი ფეხბურთელები სინდისზე შეაგდო და ისინიც ცოტა გამოცოცხლდნენ. ჯერ ნიკა ნადირაძემ გადააველო ხარიხას ბურთი, შემდეგ ისევ მდივნიშვილს აჯობა სეფიაშვილმა.

მინიმალური ანგარიში თბილისელებს დამშვიდების საშუალებას არ აძლევდა, ერთი გაშვებული გოლი და პლეი ოფში თამაში ცხვირწინ იყო. შეცვლაზე შესულმა ცისკარაულმა კარგად გადააწოდა ქორიძეს, მაგრამ ამან ველარ ივარგა.

მატჩის დასრულებას ცოტაღა აკლდა, როცა „ტორპედომ“ ხელსაყრელი საჯარიმო მოინაგრა — ხარებავას დარტყმა სეფიაშვილმა ლამაზად მოიგერია.

ბოლო წუთზე კი გიორგი ქორიძის ფლანგურ ჩაწოდებას ვალერი გაგუა დაუხვდა და 2:0.

# აღმა, დაღმა, აღმა: მეორე წრის ბათუმის გრაფიკი

ბათუმი. 16 მაისი. 17 საათი. ადელი. 300 მაყურებელი

## ბათუმი 1:0 ბორჯომი

1:0 ბეჟანიძე (2)

| ბათუმი | ბორჯომი |
|---|---|
| ბათუმი: სომხიშვილი, კუნჭულია, ლობჟანიძე, თედორაძე (ბაჯელიძე 90), ხოხონიშვილი, კ. შალამბერიძე, ცანავა (გალოგრე 46), ნერგაძე, ბეჟანიძე, დარჩიძე, კვარაცხელია (ფარტენაძე 60) სათადარიგონი: ბექთაშევი; ბაციკაძე, კერესელიძე, მაკარიანი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე | ბორჯომი: შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, დ. ნადირაშვილი, ლ. მერებაშვილი, ლონლაძე (გოგიჩაიშვილი 85), შ. ჯიქია, შ. გრიგალაშვილი, კოშკაძე, კიდარაშვილი (რ. კვერნაძე 46), თედიაშვილი (საყვარელიძე 70), კაკალაძე სათადარიგო: სუხიაშვილი მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |

გაფრთხილება: ხოხონიშვილი (33), ლონლაძე (56), გრიგალაშვილი (61), შალამბერიძე (78), ლობჟანიძე (79)

გაძევება: ხოხონიშვილი (90)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ვ. ბერაძე, დ. სანიკიძე; გ. კიკაჩეიშვილი

გიორგი მურვანიძე ბათუმიდან

თამაში ხეირიანად არც გახურებულიყო, მასპინძლები რომ დაწინაურდნენ: მოიერიშე ბორჯომელებმა ბურთი დაკარგეს, კობა შალამბერიძე მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა, უმეთვალყურეო გენო ბეჟანიძეს გადააწოდა და მასაც მეკარესთან გამკლავება არ გასჭირვებია.

მასპინძლები მეორე გოლსაც მალევე ლამობდნენ. ნაკუთხურალ ბურთს გიორგი ნერგაძემ თავი კი შეაგება და მეკარესაც გადაავლო, მაგრამ ხარიხასაც გადააცილა. მერე ვახტანგ კვარაცხელიას ჯერიც დადგა — ლამის მოედნის ნახევარი გაირბინა, მეტოქეებიც სისწრაფით დაჯაბნა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილს ძალა აღარ ეყო და სუსტად დაარტყა.

ამასობაში ნახევარი საათი გაილია, ბორჯომელებიც გონს მოეგნენ და ბათუმელთა მეკარე გამოაფხიზლეს. ყველაზე მეტად გიორგი სომხიშვილი შოთა გრიგალაშვილის დარტყმულმა შეაშინა: სტუმარმა საჯარიმოს მისადგომებთან მიილო ბურთი, ძლიერადაც დაარტყა და... ხარიხა შეაზანზარა. ვალში არც ბათუმელები დარჩენილან. ისევ შალამბერიძემ იაქტიურა მარჯვენა ფლანგზე, კვარაცხელიას საჯარიმოში სათავურო ჩააწოდა და... ისევ ძელი.

მეორე ტაიმი უხეში გამოდგა, მსაჯმა ყვითლებიც ჩამოარიგა, ლერი ხოხონიშვილი კი სულაც გააძევა.

ბორჯომელები უფრო თამამად ათამაშდნენ და რეალური საგოლე შანსიც მიეცათ: 65-ე წუთზე გრიგალაშვილმა შორიდან საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი და გივი ქარქუზაშვილს თავზე დაასვა, ამან კი ახლოდან ვერ იყოჩაღა.

75-ე წუთზე ხოხონიშვილმა მართლაც ჩინებულად ჩაიდრიბლინგა, ხუთი ბორჯომელი ჩამოიტოვა და ყველას რომ ეგონა, ეს არის და გოლიაო, კარს ააცილა.

სტუმრები გათანაბრებას კვლავაც ეცადნენ, ბოლო დამატებულ წუთზე გაიტანეს კიდეც, მაგრამ მანამდე თანამსაჯმა ალამი აღმართა...

ს.კ. ლოკომოტივი ახორციელებს ს.კ. ბარსელონას ტალანტების მოძიების პროგრამას და ატარებს სელექციას 1995-2001 წწ დაბადებულ ბავშვებში. რეგისტრაციისთვის გთხოვთ მობრძანდეთ 14 მაისიდან 27 მაისამდე 10.00-15.00 სთ. მ. მესხის სახელობის სტადიონზე. ჭავჭავაძის გამზ. 74. საკონტაქტო ტელეფონი 23-04-58. თან იქონიეთ ბავშვის დაბადების მოწმობა და ფოტოსურათი, მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟოზემ პოლიციას აურინიუ!





## რატომ დააკავეს ჩელსის მწვრთნელი და სად არის ცხოველი?

**გაძაღლდა** ცხოვრება: ჟოზე მურინიუ „ჩელსის“ წლის საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოვებაზე გახლდათ ბატერსი პარკში, როდესაც მეუღლე ტამიმ დაურეკა და უთხრა, რომ მათი საყვარელი იორკშირული ტერიერი წაიყვანეს. ეს, დაახლოებით საღამოს ცხრის ნახევარზე მოხდა, რის შემდეგაც მოვლენები ასე განვითარდა:

გათიშა თუ არა ტელეფონი, „ლურჯების“ თავკაცი სკამიდან გიჟივით წამოვარდა, შენობიდან გასასვლელში გზად გადაღობილი ავტოგრაფებზე მონადირენი აქეთ-იქით მიყარ-მოყარა და შინისკენ გაეშურა, სადაც ოფიცერი და ორი პოლიციელი დახვდნენ.

ამ ხალხს ძაღლთან ჰქონდათ პრეტენზიები, მათ ეეჭვებოდათ, რომ პატივცემული იორკშირული ტერიერი აცრის გარეშე ბრძანდებოდა საზღვარგარეთ, საიდანაც შინ, ლონდონის პოშ-უბან ბელგრავიაში, თვეში 19 ათას გირვანქად ნაქირავებ ორტერასიან და თავლიან სახლში ასევე აუცრელი დაბრუნდა.

პორტუგალიელი მწვრთნელი შინ რომ შევარდა, უკვე 9 საათი გახლდათ. სახლში იყვნენ მეუღლე ტამი, ათი წლის ქალიშვილი მატილდა და ექვსი წლის ვაჟი ჟოზე.

ოფიცრისა და პოლიციელების პრეტენზიებით გაცოფებულმა მაურინიუმ — როგორც მისი ნაცნობები ამბობენ, ჩვეულებრივ ზრდილი და თავაზიანი დონ ჟოზე ასეთი გაწითლებული და გაცეცხლებული არასდროს უნახავთ — თავის ძაღლს ხელი სტაცა და, ოღონდ ამათ ხელში არ ჩაუვარდეთო, სახლს გარეთ გააგდო.

მერე რა მოხდა? რა და, ის სულელი იორკშირელი ნადირი დაიკარგა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალისტი მწვრთნელი კი წესრიგის მცველებმა ბელგრავიის პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს, სადაც თითის ანაბეჭდები აუღეს.

„ჟოზეს ნერვებმა უმტყუნა — თქვა მავანმა, რომელიც „ჩელსის“ ბანკეტს თუ დაჯილდოვებას ესწრებოდა — ის მაგიდიდან წამოფრინდა, კარისკენ გზა გაიკაფა და ტაქსების რიგისკენ გიჟივით გავარდა“.

ახლა მაურინიუს ძაღლს ეძებენ. თქვენც, ძვირფასო მკითხველო, თუ სადმე ნახოთ...

რაო, რატომ გეცინებათ? ხომ იცით, ეგ კანონდამრღვევი ძაღლია, შესაძლოა, ბრიტანეთიდან აცრის გარეშე გამოპარულიყო და იქნებ თბილისშიც ჩამოვიდა.

მოკლედ, თუ იპოვით, ჩვენ გვითხარით, ჩვენ კი ვიცით, რა ნომერზე უნდა გადავრეკოთ...

ის ნომერი პირდაპირ გამოვაქვეყნოთ?

ვერ მოგართვით...

**ბაპუნა ძედია**



## ნენე ილარიო თავდასხმაში

### მაურინიუ 16 ფეხბურთელს ვერ აგროვებს

**ლონდონის** „ჩელსის“ იმდენი ტრავმირებული ფეხბურთელი დაუგროვდა ასოციაციის ფინალის წინ, რომ მეკარე ენრიკე ილარიომ შეიძლება ფორვარდობა იკისროს.

დაშავებულნი არიან: ანდრეი შევჩენკო, მიხაელ ბალაკი, რიკარდუ კარვალიუ, არიენ რობენი და ჯონ ობი მიკელი. ეშლი კოულიც ტრავმას უჩივის და შაბათს გაირკვევა, ითამაშებს თუ ვერა.

„კოული თუ მომჯობინდა, 15 ფეხბურთელს მოვაგროვებთ — თქვა ჟოზე მაურინიუმ — თავდამსხმელი მხოლოდ დიდიე დროგბა დაგვრჩა და განაცხადში ეგებ ნენე ილარიო შევიყვანო, რადგან ფორვარდობა ეხერხება. ან მეორე გუნდიდან რომელიმე ბავშვს დავიმატებ, რათა 16 მოთამაშე მაინც გვყავდეს“.

მიკაელ ესიენი და კლოდ მაკელელე „ევერტონთან“ ბოლო ტურის მატჩში მწვრთნელმა დაასვენა. ამავე შეხვედრაში დაშავდა ჯონ ობი მიკელი.

„ჩელსიმ“ 18 აპრილის შემდეგ მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო — „ლივერპულთან“ ჩემპიონთა ლიგაში. ზედიზედ მესამედ პრემიერლიგის ჩემპიონობა ვერ შეძლეს და ახლა, 19 მაისს, ასოციაციის თასის ფინალში „მანჩესტერის“ ძლევით ეცდებიან სეზონის მაჟორზე დამთავრებას.

**ვაჟა ხუციშვილი**

## შავიერიც გაღმა გავიდა

**„მიდლსბროს“** ყოფილი ფეხბურთელი აბელ შავიერი, რომელიც დოპინგზე გამოჭერილი პირველი პრემიერლიგელია, „ლოს ანჯელეს გალაქსიში“ დევიდ ბექჰემს შეუამხანაგდება — პორტუგალიელმა მცველმა ამერიკულ კლუბთან კონტრაქტი გააფორმა და ივნისიდან მეიჯორ ლიგაში ითამაშებს.

34 წლის შავიერს „მიდლსბრომ“ ხელშეკრულება აღარ გაუგრძელა და მანაც უმალ ნახა სხვა გუნდი. პორტუგალიელი 2005-ის აგვისტოში გადავიდა „ბოროში“. იმავე წელს „ქსანთისთან“ უეფას თასის მატჩის შემდეგ დოპინგ-ტესტმა აჩვენა, რომ შავიერის სისხლში აკრძალული პრეპარატი დიანაბოლი დაეხეტებოდა. ნოემბერში მას ერთწლიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

17-წლიან საფეხბურთო კარიერაში აბელ შავიერს ინგლისში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, იტალიაში, პორტუგალიაში, ესპანეთსა და



თურქეთში უთამაშია. ახლა კი ოკეანის გაღმაც გააღწია.

„აბელი ძალიან გამოცდილი ფეხბურთელია და ჩვენს გუნდს წაადგება — თქვა „გალაქსის“ პრეზიდენტმა ალექსი ლალასმა — საუცხოო მცველია და გვიხარია, რომ გადმოსვლაზე დაგვთანხმდა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ჩავიდა და წავიდა

**პრემიერლიგიდან** გავარდნილი „შეფილდის“ მწვრთნელი ნილ უორნოკი გადადგა. კლუბის შეფმა კევინ მაკკეიბმა გუშინ პრესკონფერენცია გამართა და ეს ამბავი ოფიციალურად გააცხადა. „შეფილდი“ ბოლო ტურში „უიგანთან“ დამარცხდა და ლიგიდან ჩაქვეითდა.

გუნდი პრემიერლიგაში რომ დაეტოვებინა, უორნოკს ახალ, 750 ათას გირვანქიან კონტრაქტს გაუფორმებდნენ. გავარდნის გამო კი 450 ათასი შესთავაზეს წელიწადში და იუარა.

## მუხლიანი ზაფხული

**„მიდლსბროს“** მცველმა და კაპიტანმა ჯონათან ვუდგეიტმა მარცხენა მუხლზე ოპერაცია გაიკეთა. კლუბი იმედოვნებს, რომ იგი მომავალი სეზონის დასაწყისისთვის ფორმაში ჩადგება.

„ბოროს“ მწვრთნელმა გარეთ საუთგეიტმა განაცხადა: „ჯონათანს ბოლო ორი თვის განმავლობაში აწუხებდა მუხლის ტკივილი და ამ ოპერაციით პრობლემები მოეხსნება. ის ორ თვეში მომჯობინდება“.

პრემიერლიგა 11 აგვისტოს დაიწყება.

## სისე-2 რედინგში

**პრემიერლიგის** „რედინგმა“ „ბოავიშტადან“ კალიფა სისე შეიძინა. 22 წლის ფრანგმა ნახევარმცველმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## ძალიან გრძელი ებუ

**„არსენალის“** კოტდივუარელმა უმანუელ ებუმ გრძელვადიანი კონტრაქტი გააფორმა. კლუბმა არ გაამხილა, რამდენწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი მცველმა.

ებუ „მეთოფეებში“ 2005-ში ბელგიური „ბევერენიდან“ გადავიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## იტალია

### სერია B. XXXVIII ტური

**ბრეშა 0:1 ნაპოლი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 38 | 26 | 10 | 2 | 74:25 | 79 |
| ჯენოა | 38 | 22 | 7 | 9 | 63:41 | 73 |
| ნაპოლი | 38 | 19 | 14 | 5 | 47:27 | 71 |
| მანტოვა | 38 | 14 | 19 | 5 | 45:30 | 61 |
| რიმინი | 38 | 15 | 15 | 8 | 48:31 | 60 |
| პიაჩენცა | 38 | 18 | 6 | 14 | 51:46 | 60 |
| ბოლონია | 38 | 16 | 10 | 12 | 44:38 | 58 |
| ბრეშა | 38 | 15 | 10 | 13 | 40:40 | 55 |
| ალბინოლეფე | 38 | 10 | 20 | 8 | 39:36 | 50 |
| ლეჩე | 38 | 14 | 7 | 17 | 47:50 | 49 |
| ჩეზენა | 38 | 12 | 12 | 14 | 48:58 | 48 |
| ვიჩენცა | 38 | 11 | 14 | 13 | 39:35 | 47 |
| ტრევიზო | 38 | 10 | 15 | 13 | 39:41 | 45 |
| ტრიესტინა | 38 | 10 | 14 | 14 | 33:45 | 43 |
| ბარი | 38 | 10 | 13 | 15 | 32:38 | 43 |
| სპეცია | 38 | 10 | 13 | 15 | 42:51 | 43 |
| ფროზინონე | 38 | 10 | 13 | 15 | 37:49 | 43 |
| მოდენა | 38 | 10 | 11 | 17 | 34:44 | 41 |
| ვერონა | 38 | 9 | 12 | 17 | 26:41 | 39 |
| არეცო | 38 | 10 | 14 | 14 | 36:40 | 38 |
| კროტონე | 38 | 7 | 11 | 20 | 33:59 | 32 |
| პესკარა | 38 | 5 | 10 | 23 | 32:64 | 24 |

*ტრიესტინას დაკლებული აქვს 1 ქულა, პესკარას 1 ქულა, არეცოს 6 ქულა, იუვენტუსს 9 ქულა*

## პოლონეთი

### პირველი ლიგა

### გადადებული მატჩი

**პლოცკი 0:1 ლეჩნა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელხატოვი | 27 | 18 | 4 | 5 | 57:25 | 58 |
| ზაგლებე | 27 | 16 | 8 | 3 | 50:24 | 56 |
| ლეგია | 27 | 15 | 4 | 8 | 49:27 | 49 |
| ლეხი | 27 | 11 | 10 | 6 | 49:32 | 43 |
| კორონა | 27 | 13 | 4 | 10 | 35:29 | 43 |
| ვისლა | 27 | 9 | 15 | 3 | 39:20 | 42 |
| კრაკოვია | 27 | 11 | 7 | 9 | 38:40 | 40 |
| გროცლინი | 27 | 8 | 15 | 4 | 30:24 | 39 |
| ლოძი | 27 | 9 | 10 | 8 | 28:27 | 37 |
| ოდრა | 27 | 9 | 9 | 9 | 26:33 | 36 |
| არკა | 26 | 7 | 10 | 9 | 34:37 | 31 |
| ვიძევი | 26 | 7 | 7 | 12 | 23:36 | 28 |
| ლეჩნა | 27 | 6 | 5 | 16 | 21:55 | 23 |
| გურნიკი | 27 | 5 | 6 | 16 | 28:48 | 21 |
| პლოცკი | 27 | 2 | 11 | 14 | 17:44 | 17 |
| პოგონი | 27 | 3 | 7 | 17 | 23:46 | 16 |

## შვედეთი

### ალსვენსკა

### VI ტური

**ჰელსინგბორგი 0:1 მალმიო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალმარი | 6 | 4 | 0 | 2 | 9:7 | 12 |
| ჰამარბი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:3 | 11 |
| გიოტებორგი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:5 | 11 |
| მალმიო | 6 | 3 | 2 | 1 | 9:4 | 11 |
| ჰალმსტადი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 10 |
| აიკ | 6 | 3 | 0 | 3 | 5:7 | 9 |
| გაის | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| გეფლე | 6 | 2 | 2 | 2 | 5:7 | 8 |
| იურგორდენი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:6 | 7 |
| ელფსბორგი | 6 | 1 | 4 | 1 | 7:7 | 7 |
| ჰელსინგბორგი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:8 | 6 |
| იორებრო | 6 | 1 | 3 | 2 | 4:7 | 6 |
| ტრელებორგი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:11 | 5 |
| ბრომაპოიკარნა | 6 | 1 | 1 | 4 | 7:14 | 4 |

Copa Toyota Libertadores '2007

## ლიბერტადორესის თასი 2007

### 1/4 ფინალი. პირველი მატჩი

**კუკუტა დეპორტივო (კოლუმბია) 2:0 ნასიონალი (ურუგვაი)**

1:0 ბ. ტორესი (74), 2:0 ბ. პერესი (89)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტევესს ინტერიც შეეთამაშება

## კრესპოს არგენტინა გაუკვირდა

**ბრიტანული** და იტალიური პრესის ცნობით, მილანის „ინტერი" ლონდონის „ვესტ ჰემის" არგენტინელი ვარსკვლავის, კარლოს ტევესის შეძენას აპირებს. ამბობენ, „ნეროაძურის" პრეზიდენტი მასიმო მორატი უკვე დაუკავშირდა ფეხბურთელის მფლობელ კია ჯურაბჩიანს და ამ ტრანსფერისთვის 25 მილიონი გირვანქაც გაუმზადებიაო.

თუ 23 წლის თავდამსხმელი მართლაც გადავა „ინტერში", წესით, ადაპტაციის პრობლემა არ უნდა ჰქონდეს, რადგან „ნეროაძურიში" უამრავი არგენტინელია. ერთ-ერთი მათგანია ერნან კრესპოც, რომელიც „ჩელსის" ეკუთვნის, მაგრამ სურს, მომავალი სეზონის „ინტერში" გაატაროს და დიდი შანსია, ასეც მოხდეს. კრესპოს აზრით, ტევესი შავ-ლურჯებს ძალიან გააძლიერებს.

„კარლოსი იტალიაში შეუდარებელი იქნება. მისი ტექნიკური მონაცემებითა და შემართებით იგი მცველებს დატანჯავს. ტევესი უმაღლესი დონის ვარსკვლავია. ბრწყინვალე წყვილი ვიქნებით და ბევრ გოლს გავიტანთ, რადგან ერთმანეთს ჩინებულად ვუგებთ. არ ვიცი, „ინტერი" სერიოზულად არის თუ არა მისით დაინტერესებული, მაგრამ ვეცდები, ხელმძღვანელობა დავარწმუნო, რომ იგი იყიდონ" — თქვა კრესპომ.

31 წლის თავდამსხმელმა ეროვნულ ნაკრებზეც ისაუბრა. არგენტინაში ხმები დაირხა, შესაძლოა, კრესპო ზაფხულში გასამართი კოპა ამერიკის მიღმა დატოვონო.

„არ ვიცი, ვინ უთხრა არგენტინულ პრესას, რომ კოპა ამერიკაზე არ ვითამაშებ. მჯერა, გამომიძახებენ — ეროვნული ნაკრების ღირსების დაცვა ჩემთვის ყოველთვის დიდი პატივი იყო. თან იმ დროისთვის 32 წლის გავხდები და ამ ასაკში ასეთ მნიშვნელოვან ტურნირზე თამაში დიდი მიღწევა იქნება. ახლა ბრწყინვალე ფორმაში ვარ და თამაშისგან დიდ სიამოვნებას ვიღებ. იმედია, 2 ივნისს შვეიცარიასთან ამხნაგურ მატჩშიც ვითამაშებ" — განაცხადა კრესპომ.

**გიორგი ჭაჭაბაძე**






ერნან კრესპო და კარლოს ტევესი

## ნევილი და საა ჩაიშალა

„**მანჩესტერმა**" ოფიციალურად განაცხადა, რომ 19 მაისს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში „ჩელსისთან" გარი ნევილი და ლუი საა ვერ ითამაშებენ.

32 წლის მცველი 17 მარტის შემდეგ ტრავმირებულია და მკურნალობა ჯერ არ დაუმთავრებია — „უემბლიზე" გუნდს რაიან გიგზი უკაპიტნებს, ნევილის ადგილზე კი ჯონ ოში იქნება. ლუი საას კი მუხლის მყესი აქვს დაზიანებული. „მანჩესტერს" ფრანგი ფორვარდი „მილანთან" საპასუხო მატჩში დაშავდა.

## მშობლებს უხარიათ

„**ჰიბერნიანის**" ნახევარმცველი სკოტ ბრაუნი გლაზგოს „სელტიკში" გადავიდა — მისმა აგენტმა უილი მაკკეიმ ეს ოფიციალურად დაადასტურა.

სელტიკელებმა „რეინჯერსს", „მიდლსბროს", „ევერტონსა" და „ტოტენჰემს" აჯობეს ნახევარმცველისთვის ბრძოლაში. 21 წლის ბრაუნის სანაცვლოდ „ჰიბერნიანმა" 4 მილიონ 400 ათასი გირვანქა მიიღო.

„ეს ფანტასტიკური ტრანსფერია სკოტისთვის — თქვა მაკკეიმ — იგი უდიდესი კლუბის ფეხბურთელი გახდა, რომელიც მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. ბიჭის მშობლებიც ძალიან გახარებულნი არიან შვილის „სელტიკში" გადასვლით. არაერთი ინგლისური გუნდი უფრო მეტ ფულს სთავაზობდა „ჰიბერნიანს" და ფეხბურთელსაც მსუყე ჯამაგირს ჰპირდებოდა, მაგრამ ბრაუნმა სწორი არჩევანი გააკეთა".

**გაგა ხუციშვილი**




# კარაქისა და პურის დეფიციტი

## ჯერარდმა სიტყვა დადო

„**ლივერპულისა**" და მისი კაპიტნის სტივენ ჯერარდის ამბავი გრძელდება — კაპიტანმა განაცხადა, რომ ახალ ხელშეკრულებასთან ძალიან ახლოს არის.

ადრეც მოგახსენებდით, რომ 26 წლის ჯერარდისა და „წითლების" მოქმედი კონტრაქტის თანახმად, კაპიტანს ამ გუნდში ჯერ კიდევ ორი წელიწადი აქვს გასატარებელი, მაგრამ „ენფილდიდან" მოსული ცნობის თანახმად, კლუბს ახლავე უნდა ახალი ოთხწლიანი ხელშეკრულების გაფორმება. რამდენადაც ცნობილია, მერსისაიდელთა ახალმა მეპატრონეებმა, ამერიკელებმა, ტომ ჰიკსმა და ჯორჯ ჯილეტმა ჯერარდისთვის კვირაში 120 ათასი გირვანქის გაღება გადაწყვიტეს, კვირაში 120 ათასი გირვანქა კი კვირაში 237 ათას დოლარს ნიშნავს.

ჯერარდმა თქვა: „მოლაპარაკებები კარგად მიდის და მე მზად ვარ, ახალ კონტრაქტს ნებისმიერ წამს მოვაწერო ხელი. ახალი კონტრაქტი ახლა უკვე ერთი ხელის გაწვდენაზეა. ხელმოწერის თარიღს დაზუსტებით ვერ გეტყვით, მაგრამ მე რომ ხელს მოვაწერ, თქვენს წინაშე ვდგავარ და გეუბნებით".

მიუხედავად იმისა, რომ „ლივერპული" სამ წელიწადში მეორედ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, ჯერარდი უკმაყოფილოა იმით, რომ „წითლებს" პრემიერლიგის ტიტული ვერა და ვერ მოუგიათ.

„სამწუხაროდ, ვერსად გავექცევით ფაქტს, რომ ამ სეზონში ეროვნულ ჩემპიონატში კარგად ვერ გამოვედით. ჩვენს გუნდში ასე ფიქრობს მწვრთნელიც, კაპიტანიც და ნებისმიერი ფეხბურთელიც. ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე მეტი ამბიცია გვქონდა. რასაკვირველია, ცალი თვალი მუდმივად ევროპისკენ გვიჭირავს, რადგან ჩემპიონთა ლიგა მეტისმეტად პრესტიჟული ტურნირია, მაგრამ იმავდროულად, გვსურს, პრემიერლიგის ჩემპიონის დროშა ძველი დროების მსგავსად, „ენფილდ როუდზე" ავაფრიალოთ. ჩვენი კარაქიანი პური ჩემპიონთა ლიგა კი არა, პრემიერლიგაა და მინდა გითხრათ, რომ „ლივერპული" მისი ტიტულისგან შორს ნამდვილად არ იყო. ახლა, ზაფხულზე ინვესტიციებს მივიღებთ, ისედაც ერთ იუშტად შეკრული გუნდი კვლავ ერთ მუშტად შეიკრება და მომავალ სეზონში „ჩელსისა" და „მანჩესტერს" პირველიდან ბოლო წამამდე არ მოვშორდებით".

**პაპუნა ძიდია**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## დამიენ დაფი

ნახევარმცველი

დაიბადა 1979 წლის 2 მარტს ბელიბოდენში

სიმაღლე: 1,77 მეტრი,

წონა: 61 კგ

კარიერა: 1996-2003 წლები — „ბლექბერნი" (184 მატჩი, 27 გოლი),

2003-06 წლები — „ჩელსი" (81 მატჩი, 14 გოლი),

2006 წლიდან — „ნიუკასლ იუნაიტედი" (22 მატჩი, 1 გოლი)

2000 წლიდან თამაშობს ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებში (66 მატჩი, 7 გოლი)





## FORD mustang gt

გამოშვების თარიღი: 2005 წელი

სიგრძე: 4,775 მეტრი

სიგანე: 1,877 მეტრი

სიმაღლე: 1,407 მეტრი

წონა: 1 615 კგ

ცილინდრი: 8

ძრავის კუბატურა: 4,6

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 250 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,9 წამში

ფასი: 30 000 დოლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯიჯი და ალიონა: მილანთან ახლოს

ტურინის „იუვენტუსის" ხელმძღვანელობა ჯიუტად კი ამბობს, ჯანლუიჯი ბუფონს არსად ვუშვებთო, მაგრამ „ბებერი ქალბატონისა" და „სკუადრა აძურას" მეკარე თითქმის ყოველდღე ახალ-ახალ განცხადებებს აკეთებს — ხან ჩემპიონთა ლიგის მონატრებაზე საუბრობს, ხან კი იმაზე, თუ როგორ გაუჭირდება „იუვეს" ძველ სიმაღლეზე დაბრუნება...

„ყველაზე ცუდი მომენტი წინ გველის — სერია A-ს დიდ კლუბებთან კონკურენცია. სერია B-ში ჩვენ ერთი მიზანი გვქონდა და ეს უკვე თითქმის მოვახერხეთ. სერია A-ში კი „ინტერთან", „მილანთან", „რომასთან" და „ლაციოსთან" კონკურენცია ძალიან გაგვიჭირდება. ეს კი ჩვენთვის რთული შესაგუებელი იქნება. მესმის, რომ კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელი წავიდა, ძირითადად ასაკოვნები, მაგრამ ჯანლუკა ძამბროტასა და ადრიან მუტუს გაშვება შეცდომა იყო. ისინი ძალიან სასარგებლონი იქნებოდნენ გუნდისთვის" — აღნიშნა ჯიჯი ბუფონმა.

ამ განცხადებით ბუფონი ალბათ კიდევ ერთხელ მიანიშნებს ხელმძღვანელობას, რომ თუ გინდათ, დავრჩე, მეტი თანხები მოიძიეთ და მაღალი კლასის ფეხბურთელები იყიდეთო.

იტალიური პრესის ცნობით კი, ჯიჯი და მისი საცოლე ალიონა სერედოვა კომოს ტბასთან ვილას ყიდულობენ, რაც, შესაძლოა, იმის მანიშნებელი იყოს, რომ ბუფონი რომელიმე მილანურ კლუბში, „ინტერში" ან „მილანში" გადადის.

კითხვები რჩება მწვრთნელ დიდიე დეშანთან დაკავშირებითაც. სიტუაცია აქაც დაახლოებით იგივენაირია — ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ ფრანგი გუნდში დარჩება, რასაც დეშანიც ამბობდა, მაგრამ მისმა აგენტმა ერთი საყურადღებო განცხადება გააკეთა, ჩემს კლიენტს სათანადოდ ვერ აფასებენ და ბოლომდე არ ენდობიანო...

„დიდიე ჯერ არაფერშია დარწმუნებული. იგი ნდობას ვერ გრძნობს. ჩვენ გვინდა გავიგოთ, როგორია „იუვენტუსის" სამომავლო გეგმები. ვითხოვეთ კიდეც ეს, მაგრამ პასუხი ჯერ არ მიგვიღია. თუ დიდიესთან თანამშრომლობის გაგრძელება სურთ, მაშინ ახალ კონტრაქტზე და მის პირობებზეც უნდა დავიწყოთ მოლაპარაკება" — განაცხადა დეშანის აგენტმა.

„ბიანკონერის" დირექტორმა ჟანკლოდ ბლანმა კი „ეკიპს" უთხრა: „დიდიე დეშანი „იუვენტუსში" რჩება. ჩვენ ძალიან კმაყოფილნი ვართ, რომ შარშან ზაფხულს იგი ავირჩიეთ და მასთან ერთად გვსურს ხუთწლიანი პროექტის განხორციელება".

და ბოლოს: „იუვენტუსიდან" კიდევ ერთი ახალი ამბავია — დავიდ ტრეზეგემ კვლავაც აღნიშნა, არსად წასვლას არ ვაპირებ და მინდა, კლუბთან ერთად ძველი წარმატებული დრო დავიბრუნოო. მისი აზრით, მომავალი სეზონი ძალიან რთული იქნება, მაგრამ „იუვე" მაინც შეძლებს სერია A-ს სამეულში მოხვედრას.

**გიორგი ბაბაბაძე**

# გმადლობთ, მაგრამ არ მინდა!



რომის „ლაციოს" მწვრთნელმა დელიო როსიმ უარყო ინფორმაცია, თითქოს მას „იუვენტუსში" გადასვლის შანსი ჰქონდეს და ტურინელებთან აწარმოებდეს მოლაპარაკებას.

„სამწუხაროდ, ჩემი სიტყვები არასწორად გაიგეს და უსაფუძვლო ჭორებიც გავრცელდა. მინდა გითხრათ, რომ ვიყავი, ვარ და ვიქნები „ლაციოს" მწვრთნელი. აქ თავს კარგად ვგრძნობ და საქმეც ცუდად არ მიგვდის. დიდ მადლობას ვუხდი კლუბებს, რომლებიც ჩემით არიან დაინტერესებულნი, მაგრამ არსად წასვლას არ ვაპირებ" — განაცხადა როსიმ.

მოგეხსენებათ, „ლაციომ" სერია A-ს ოთხეულში ადგილი გაინაღდა და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს თამაშს.

„ერთ ადგილზე დიდი ხანი რომ დავრჩე, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თავისუფლად მუშაობის საშუალება მომცენ და ჩემს საქმეში არ ჩაერივნონ. ამ მხრივ „ლაციოში" იდეალური ვითარებაა. რაც შეეხება მომავალ სეზონს, ის წარმატებული იქნება, თუ ამ შემართებასა და გუნდურ სულს შევინარჩუნებთ. პირველ რიგში, ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი უნდა დავძლიოთ, არავის ეგონოს ეს იოლი საქმე" — დასძინა როსიმ.

დედაქალაქელთა ფორვარდი ტომაზო როკი კი კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ 29 წლის თავდამსხმელს მრავალი მსურველი ჰყავს.

„ტომაზო ნახევარ ევროპას უნდა, მაგრამ მისთვის „ლაციო" პირველ ადგილზეა და მალე კლუბის პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოსთან შეხვედრას ვაპირებთ, რათა კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ვისაუბროთ. არა მგონია, რაიმე პრობლემა შეგვექმნას" — თქვა როკის აგენტმა ოსკარ დამიანიმ.

**კოკი კანდელაკი**

## უსასრულო მალდინი

„მილანის" კაპიტანმა პაოლო მალდინიმ თქვა, რომ „ლივერპულთან" მატჩისთვის ფორმაში იქნება და ითამაშებს.

38 წლის მცველი, ვისაც მარცხენა მუხლის ტრავმის გამო ამ სეზონში ბევრი გაუცდა, სეზონის ბოლოს ერთი წლით კონტრაქტის გახანგრძლივებასაც აპირებს: „საფინალოდ მზად ვარ. მუხლი ცოტა შეშუპებულია, მაგრამ დატვირთვებს უძლებს. ხელშეკრულება ჯერ არ გამიგრძელებია, თუმც ადრიანო გალიანის უკვე ვესაუბრე და კიდევ ერთი სეზონით დავრჩები. ივნისში ოპერაციას გავიკეთებ, თამაშს ისევ შევძლებ, მაგრამ გადავწყვიტე, რომ მომავალ წელს აუცილებლად დავასრულო კარიერა".

## მათეუსს მგლები ელახიან

ავსტრიის ჩემპიონ „ზალცბურგის" მწვრთნელი ლოთარ მათეუსი, შესაძლოა, გერმანული „ვოლფსბურგის" თავკაცად დანიშნონ — წერს „ბილდი".

„მგლების" ახლანდელ მწვრთნელ კლაუს აუგენტალერს კონტრაქტი 2009 წელს ეწურება, მაგრამ მისით უკმაყოფილონი არიან. გუნდმა ბოლოსწინა ტურში მოგებით გაინაღდა ბუნდესლიგაში დარჩენა და აუგენტალერის გაშვებას აპირებენ.

ლოთარ მათეუსთან ერთად „ვოლფსბურგში" ალბათ ჯოვანი ტრაპატონიც მივა, რომელიც „ზალცბურგის" სპორტული დირექტორია.

## კივუს აგენტის კივილი

კრისტიან კივუს აგენტმა კატეგორიულად უარყო ცნობა მისი კლიენტის „რომადან" „იუვენტუსში" გადასვლის თაობაზე.

გაზეთმა „ტუტოსპორტმა" გუშინ დაწერა, რომ „იუვე" რუმინელ მცველს უკვე მოურიგდა და მომავალი სეზონიდან კივუ ტურინში ითამაშებს. გაბრაზებულმა აგენტმა ანდრეა პრეტიმ განაცხადა, რომ კივუს „იუვენტუსი" კი არა, საერთოდ, არც ერთი კლუბი არ დაკავშირებია...

„ბოლო წლების განმავლობაში არაერთხელ მომიწია ჭორების უარყოფამ. ჩვენ ყოველთვის სამართლიანად ვთამაშობთ და შემოთავაზება რომ ყოფილიყო, „რომას" აუცილებლად ვაცნობებდით".

## მარკამ მატერაცი ახსენა

ესპანური „მარკას" ცნობით, „ბარსელონას" ინტერელი მარკო მატერაცის ყიდვა უნდა.

ფრანკ რაიკარდს დაცვაში იტალიელივით ღონიერი ბიჭები სჭირდება და მსოფლიოს ჩემპიონ მატერაცის შეძენასაც ამად ცდილობს, თუმც ამ ტრანსფერის გაჩარხვა ძალიან ძნელი იქნება.

## რონალდინიომ კაკა გაიმეორა

ბრაზილიელებს კოპა ამერიკაზე ტიტულს დაცვა გაუჭირდებათ, რადგან დაღლილობის გამო კიდევ ერთმა ფეხბურთელმა თქვა უარი ნაკრებში თამაშზე — რონალდინიომ ქვეყნის ფეხბურთის კონფედერაციას აცნობა, რომ მძიმე სეზონმა, რომელიც ჯერაც არ დასრულებულა, დაქანცა და კოპა ამერიკაზე თამაშს ველარ გაქაჩავს.

ამას წინათ ფედერაციას მსგავსი თხოვნით მილანელმა კაკამაც მიმართა და ისიც დაღლილობას უჩიოდა. ასე რომ, კარლოს დუნგას ორი მთავარი მოთამაშის გარეშე მოუწევს ვენესუელაში ჩასვლა.

ტურნირი 26 ივნისს დაიწყება და 15 ივლისს დამთავრდება. ბრაზილია მანამდე ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს — 1 ივნისს ახალ „უემბლიზე" ინგლისის შეხვდება, ოთხი დღის შემდეგ კი დორტმუნდში თურქეთის ნაკრებს.

## ვილტორდი შატალოზე

ფრანგული „ლიონის" ფორვარდი სილვენ ვილტორდი ცუდად იქცევა და, შესაძლოა, გუნდიდან გააგდონ. 33 წლის ფეხბურთელმა სამშაბათს თვითნებურად გააცდინა ვარჯიში, რის გამოც ორსაათიანი ლექცია წაუკითხა მწვრთნელმა.

იგი 2004 წელს გადავიდა „ლიონში" და დიდად დაეხმარა გუნდს გაჩემპიონებაში, მაგრამ მისვლის დღიდან სულ შარშია გახვეული. აპრილში კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზეს და ქალაღები გადაყარა, ამ პირობებზე ხელს არ მოვაწერ, მეტ პატივისცემას ვიმსახურებო.

„ორი წელი შევალიე გუნდს და ჩემი შრომა სათანადოდ უნდა დაფასდეს" — თქვა ფორვარდმა.

ვილტორდმა პირველ ლიონურ სეზონში კარგად ითამაშა, მაგრამ წლეულს უკლო და 4 გოლზე მეტი ვერ გაიტანა. ბოლო ორი მატჩი კი გამოტოვა — მუცლის ტკივილი მოიმიზეზა. ამას მოჰყვა ვარჯიშის გაცდენა და შეფებთან კონტრაქტი. „ლიონის" პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ, ვინც გუშინ G-14-ის თავკაცი გახდა, განაცხადა, რომ ამ ზაფხულს შემადგენლობა საფუძვლიანად შეიცვლება და ალბათ ვილტორდსაც აბარგება მოუწევს.

## შვაინშტაიგერი გადაიდო

ბასტიან შვაინშტაიგერმა ტრავმა ჯერაც ვერ მოიშუშა და ნაკრებს ევრო 2008-ის ორ შესარჩევ მატჩში დააკლდება — ამის შესახებ მიუნხენის „ბაიერნმა" ოფიციალურად განაცხადა.

ხუთკვირიანი მკურნალობის შემდეგ შვაინშტაიგერის დაბრუნებას შაბათს, „მაინცთან" ბოლო ტურის შეხვედრაში ელოდნენ, მაგრამ ტკივილი ისევ აწუხებს და დასვენება მოუწევს.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უგო სანჩესი: უგოლოდ მუშაობას არავინ დაგიფასებს

## ფეხბურთი კი შეიცვალა, მაგრამ კაპელო კაპელოა

**მადრიდის „რეალის“ ისტორიაში ალფრედო დი სტეფანოს გარდა სადებიუტო სეზონში პრიმერას მთავარმეგოლე მხოლოდ ერთი ფეხბურთელი გამხდარა — სახელგანთქმული უგო სანჩესი. მექსიკის ნაკრების ამჟამინდელმა თავკაცმა ესპანეთში „პიჩიჩის“ (ბომბარდირის) ტიტული ხუთჯერ მოიპოვა, ერთხელ მადრიდის „ატლეტიკოს“, ხოლო ოთხჯერ სამეფო გუნდის შემადგენლობაში. უგო საჩესს ესპანური „ასი“ ესაუბრა...**



— როგორ გრძნობთ თავს?

— შესანიშნავად. ვაკეთებ იმას, რაც ყველაზე მეტად მომწონს — ფეხბურთით ვცხოვრობ.

— თქვენ ახლა მექსიკის ნაკრებს წვრთნით. იმედია, მწვრთნელთა იმ კატეგორიას არ ეკუთვნით, რომლებიც წარმატების მისაღწევად მცველებს „აგროვებენ“...

— არა, ამას არ ვაკეთებ, ვცდილობ, გუნდს შემტევი ფეხბურთი ვათამაშო. ახალ სამუშაოს დიდი ყურადღებით ვეკიდები. მართალია, რომელიმე ესპანური გუნდის მწვრთნელობა მინდოდა, მაგრამ მათ მიერ შემოთავაზებულმა პირობებმა არ დამაკმაყოფილა. მექსიკის ნაკრების ხელმძღვანელობის შანსსაც ველოდი — შესანიშნავია, როცა შენი მშობლიური ნაკრების დამრიგებელი ხარ.

— დღევანდელი მექსიკური ფეხბურთი ჯანმრთელია?

— დიახ. მექსიკურმა ფეხბურთმა ბოლო პერიოდში საგრძნობლად მოუმატა, განსაკუთრებით ინდივიდუალისტები მომრავლდნენ. მეც ვცდილობ, საკუთარი სტილი დავნერგო. მინდა, გუნდში თერთმეტი აცტეკი მეომარი მყავდეს.

— მეომარი? ზუსტად ასე თქვა ფაბიო კაპელომ, როდესაც „რეალის“ თავკაცად დანიშნეს...

— საქმე ისაა, რომ დღეს ცალკეულ ფეხბურთელთა აგრესიულობა ძალიან ფასობს — მოთამაშე თუ არ იკბინება და მოედანზე პეპელასავით დაფარფატებს, საქმეს ვერ გააკეთებს. „რეალმა“ სტილი ამიტომაც შეცვალა და პრიმერადივიზიონის ცხრილის სათავეშიც გადაინაცვლა.

— ნახეთ, „ესპანიოლთან“ „რეალმა“ რა გააკეთა?

— რა თქმა უნდა. „რეალის“ ყველა თამაშს ვუყურებ. საოცრებებს აკეთებენ, ნამდვილი გმირობა იყო! სულიერმა სიმხნევემ მადრიდელთა მოგებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

— თქვენი აზრით, ბოლო პერიოდამდე „რეალს“ ხელს რა უშლიდა?

— დაძაბულობა, რომელიც სამეფო გუნდს სულ თან ახლავს. მათ ინსტიტუციონალური პრობლემები აწუხებდათ, თუმცა მთავარი შედეგია, რომელიც ჩემპიონობაზე ოცნების საფუძველს გვაძლევს.

— მარტო ოცნების? და რეალურად მიღწევის?

— მართალი გითხრათ, ვფიქრობ, ამის მიღწევა შეიძლება. „რეალის“ ფეხბურთელებმა, ბოლოს და ბოლოს, გაიგეს, რასაც მოითხოვს მათგან კაპელო. დონე და ტალანტი თუ არსებობს, შედეგიც არ დააყოვნებს. პრობლემა მაშინ გექმნება, როდესაც არც დონე გაქვს და არც ტალანტი...

— თქვენს მიერ ნახსენებ დონეს ყველაზე მეტად რუუდ ვან ნისტელროი შეეფერება...

— მართლაც. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ვთქვი, რომ რუუდი „რეალისთვის“ საინტერესო უნდა ყოფილიყო. იგი ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელია.

— უკვე ორი ტურია, ჰოლანდიელი პრიმერას მეგოლეთა სიას ლიდერობს. ვან ნისტელროი ჩემპიონატის ბოლოსაც მთავარმეგოლედ დარჩება?

— ვფიქრობ, კი. რუუდი „პიჩიჩის“ ტიტულს იმსახურებს, დიდებული მოთამაშეა — აგრესიული ხასიათი აქვს, არასდროს ისვენებს, სულ თამაშშია ჩართული, ბურთით იქნება თუ უბურთოდ, მუდამ თავის საქმეს აკეთებს. როცა მეტოქის მეკარე ბურთს იგერიებს, თუ ახლომახლო ვან ნისტელროია ჩასაფრებული, ჩათვალეთ, რომ გოლი გავა. თუმც რუუდი მეგოლეობას ადვილად ვერ მიაღწევს, რადგანაც ძლიერი კონკურენტები ჰყავს — მე ფრედერიკ კანუტის თამაშიც მომწონს.

— თქვენ უკვე იცით, რასაც ნიშნავს „პიჩიჩის“ ტიტულის მოგება. არც მეტი, არც ნაკლები, ეს ჯილდო ხუთჯერ მოიპოვეთ. აქედან ოთხჯერ „რეალში“...

— შესანიშნავი შეგრძნებაა, როცა მეგოლე ხარ. ხალხი უფრო მეტად გაფასებს. მთელი კვირის განმავლობაში მუშაობით თავი რომ მოიკლა და შაბათ-კვირას გოლი ვერ გაიტანო, არარავის ეხსომები. პირველი „პიჩიჩი“ „ატლეტიკოში“ მოვიგე, რამაც საშუალება მომცა, მომდევნო წელს „რეალში“ გადავსულიყავი.

— „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადასვლა დამატებით სტრესს არ მოითხოვდა? „რეალის“ ინჩასები ხომ თავიანთ გუნდს მუდამ საუკეთესობას სთხოვენ...

— იყო ასეთი რაღაც, მაგრამ მე „რეალში“ გადაბარგება ისე მივიღე, როგორც გამოწვევა. „ბერნაბეუზე“ სადებიუტო სეზონშივე „პიჩიჩი“ მოვიგე და „რეალმაც“ ქვეყნის ჩემპიონატში და უეფას თასზე გაიმარჯვა. კარგი იქნება, თუ რუუდ ვან ნისტელროი მომბაძავს და სამეფო გუნდში თავის პირველსავე სეზონში მეგოლე გახდება.

— პირველი ინდივიდუალური ტიტულის მოპოვება როგორ შეძელით?

— მიზანს არ ვაცილებდი და თანაგუნდელებიც ძალიან მეხმარებოდნენ. ყველაზე მეტი საგოლე პასი მიჩელისგან მივიღე. მეორე ადგილზე კი ემილიო ბუტრაგენიოა თავისი ფილიგრანული გადაცემებით. გორდილიო და მარტინ ვასკესიც არ ყოფილან უქმად. ვთქვათ, რომ მიჩელი ზუსტად იგივე იყო ჩემთვის, რაც ახლა ბექემია ვან ნისტელროისთვის.

— და რა მოხდებოდა მაშინ, ბექემი უფრო ფლანგზე რომ თამაშობდეს. ინგლისელს ხომ თანაგუნდელთა პასებით მომარაგება ამ პოზიციიდან უფრო ეხერხება...

— ფეხბურთი შეიცვალა. ახლა ერთი თავდამსხმელით თამაშს ამჯობინებენ, რათა მოედნის ცენტრი გააძლიერონ. კარგი იქნება, თუ ყურადღებას ისევ განაპირა მოიერიშეებს მიაქცევენ.

— ვან ნისტელროი თქვენს რეკორდს მხოლოდ ორი გოლით ჩამორჩება — უგო სანჩესმა ხომ 1988-89 წლების სეზონში გასვლით მატჩებში 16 გოლი გაიტანა...

— ძალიან კარგი იქნება, თუ ჰოლანდიელი ჩემს რეკორდს მოხსნის. რუუდი სტუმრად უფრო კარგად თამაშობს, გოლებიც მეტი გააქვს. აბა, „ბერნაბეუზე“ ჩამოსული ნებისმიერი გუნდი დაცვაში ჩაიკეტება ხოლმე და „რეალის“ ფორვარდებზე ნამდვილ ნადირობას მართავს. აი, სტუმრად კი „რეალს“ ხელ-ფეხი ეხსნება, მის მეტოქეებს მიაჩნიათ, რომ საკუთარ არენაზე მოიგებენ და შედარებით თავისუფლად ბურთაობენ. ვან ნისტელროის დროც ზუსტად მაშინ დგება.

— პრიმერაში „რეალიდან“ ბოლო მთავარმეგოლე რონალდო იყო. ბრაზილიელის „მილანში“ გადასვლის შესახებ რას გვეტყოდით?

— კაპელოს საქმეებში ვერ ჩავერევი. რაც გავიგე, ის არის, რომ მწვრთნელს და რონალდოს ერთმანეთთან ურთიერთობა გაუფუჭდათ. საერთო ენა ვერ გამონახეს და რონიმაც „რეალის“ დატოვება გადაწყვიტა.

— ბაპტისტა და სოლდადო ახლა იჯარით სხვა კლუბებში თამაშობენ და მადრიდს ივლისში დაუბრუნდებიან. თქვენი აზრით, ექნებათ მათ სამეფო გუნდში თავიანთი ადგილი?

— „რეალში“ მსოფლიოს საუკეთესოები უნდა თამაშობდნენ. აბა, მეტი რა გითხრათ, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ადგილის შენარჩუნება თავად ბაპტისტაზე და სოლდადოზეა დამოკიდებული.

— იგუაინსა და რაულს კი გოლების გატანა უჭირთ. რა დაემართათ ამ ფეხბურთელებს?

— არგენტინელს ტალანტიც საკმაოდ აქვს და ტექნიკაც, თუმცა კოორდინაციასთან დაკავშირებით პრობლემები ექმნება და გადამწყვეტი დარტყმისას იბნევა. რაული კი ძველებურად ფენომენალურია — რომც არ გაიტანოს, მოედანზე უზარმაზარ სამუშაოს ასრულებს. ხომ გესმით, იგი „რეალისთვის“ რამხელა რამეს ნიშნავს? ნახეთ, „ესპანიოლთან“ გუნდი როგორ გამოაცოცხლა?!

— რომელი თავდამსხმელები არიან თქვენი ფავორიტები?

— უპირველეს ყოვლისა, დიდიე დროგბა და ტიერი ანრი, თუმცა სხვა ბევრიც მომწონს.

— ადრიანოც მათ შორისაა? „რეალი“ მის შეძენას ცდილობს...

— ძალიან ძლიერია და ყველა მონაცემი აქვს წარმატების მისაღწევად. „რეალი“ მოგებული დარჩება, ადრიანო თუ იყიდა...

— „რეალმა“ წარუმატებელ პერიოდს თავი როგორ უნდა დააღწიოს, ახალი გუნდის შექმნით თუ „ბერნაბეუზე“ ერთი ყოვლისშემძლე ვარსკვლავის მიყვანით?

— „რეალს“ ხერხემალი უკვე აქვს. ახლა მხოლოდ ოდნავ გაძლიერებაღა სჭირდება.

— თუ „რეალმა“ ჩემპიონობა მოიგო, ფაბიო კაპელო უნდა დარჩეს „სანტიაგო ბერნაბეუზე“?

— ფაბიოს არავისთან არაფერი აქვს დასამტკიცებელი. მისი კარიერის ნებისმიერს შეშურდება. ალბათ უფრო კარგი იქნება, თუ საკონტრაქტო ვადას ბოლომდე მიიყვანს, რადგანაც შეუძლებელია, კაპელომ რამე არ მოიგოს — მე მისი დიდი თაყვანისმცემელი ვარ...



## ოქროს ბუცი ხუთ გოლად შეფასდა

### ვან ნისტელროი ალვეშს აედევნა

ჰოლანდიელი რუუდ ვან ნისტელროი „ოქროს ბუცის“ მფლობელი გახდება, თუ ლა ლიგაში 26 გოლის გატანას მოახერხებს. ანუ ახლა ის სანუკვარ მიზანს მხოლოდ 5 გოლით ჩამორჩება.

„ოქროს ბუცის“ მაძიებელთა სიას ჯერჯერობით ჰოლანდიური „ჰერენვენის“ ბრაზილიელი ფორვარდი ალფონსო ალვეში ლიდერობს — მან ერედივიზიონში მეტოქეთა კარი 34-ჯერ დალაშქრა, თუმცა, რახან ჰოლანდიის ჩემპიონატში გატანილი გოლი 1,5 ქულად ფასობს, ხოლო ესპანეთის, იტალიის, ინგლისის და გერმანიის პირველობებზე შეგდებული 2 ქულად, ვან ნისტელროის ალვეშის გადასწრების მშვენიერი შანსი აქვს. თან ერედივიზიონი უკვე დასრულდა და ბრაზილიელი თავის მარაგს ველარ გაამდიდრებს.

ლიდერთა შორისაა ფრანჩესკო ტოტიც — „რომას“ კაპიტანმა 27 გოლი გაიტანა. თუმცა სერია A-ში სულ ორი ტურია დარჩენილი მაშინ, როცა ვან ნისტელროის ოთხი მატჩი აქვს გოლების შესაგდებად.

ალვეშს 51 ქულა აქვს, „რეალის“ თავდამსხმელს კი თავისი 21 გოლის წყალობით უკვე 42 მოუგროვებია.

„ოქროს ბუცის“ მადრიდელმა კანდიდატმა ბოლო ოთხ მატჩში („ბილბაო“, „სევილია“, „ვალენსია“, „ესპანიოლი“) 6 გოლი გაიტანა. წინ კი „უელვასთან“, „დეპორტივოსთან“, „სარაგოსასთან“ და „მალიორკასთან“ შეხვედრებია დარჩენილი.

ახლა ჰოლანდიელისთვის მთავარი ისაა, ყვითელი ბარათი არ მიიღოს და რომელიმე შეხვედრა არ გამოტოვოს, რადგან გაფრთხილება უკვე აქვს.

**ლადო ხომერიკი**



# ბულბული გალიაში

**თაღლითობაში** მხილებული მსაჯი რობერტ ჰოიზერი სასჯელის მოხდას ხვალიდან დაიწყებს, ანუ ციხეში ჩასვამენ.

2005-ში ჰოიზერს ორი წელი და ხუთი თვე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ბერლინის სასამართლომ მას შემდეგ, რაც დანაშაული აღიარა. განაჩენის სიმკაცრემ ბევრი გააკვირვა, რადგან პროკურატურამ მხოლოდ ფეხბურთიდან მისი მოკვეთა მოითხოვა, სასამართლომ კი სხვაგვარად გადაწყვიტა.

მსაჯმა შარშან დეკემბერში განაჩენი გაასაჩივრა, მაგრამ პროცესი წააგო. 27 წლის რობერტ ჰოიზერმა „შპორტ ბილდთან" განაცხადა, რომ სულაც არ ეშინია ბერლინის ციხეში ჯდომისა: „არ ვნერვიულობ. ციხეში შესვლას ახალი სამუშაოს დაწყებას შევადარებდი".

შეგახსენებთ, რომ მსაჯი ხორვატ კრიმინალებს შეეკრა და ფულის სანაცვლოდ მათ სასარგებლოდ უსტვენდა ამა თუ იმ მატჩში.

მაგალითად, გერმანიის თასზე კლაუს ტოპმიოლერის მაშინდელი „ჰამბურგისა" და „პადერბორნის" შეხვედრაში ჰამბურგელებს ტყუილად გაუძევა კაცი და მათივე კარში მოგონილი პენალტი დანიშნა. შედეგად, „პადერბორნმა" თამაში მოიგო, ხორვატულმა მაფიამ კი — მსუყე თანხა.

ჰოიზერმა სტვენა-სტვენით 70 ათასი ევრო მოაგროვა, მაგრამ საქმე გასკდა და ახლა ბერლინის ციხეში დაუსტვენს.

**გაგა ხუციშვილი**

# გალიმებულს ვერ მნახავთ!

**ხომ** გახდა „ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი, უფრო სწორად კი, მისი გუნდი 2006-07 წლების ჩემპიონი? ხომ დაამატეს „შავ-ლურჯებმა" წლევანდელი, ფეხბურთით მოპოვებული ტიტული შარშანდელ, „იუვენტუსისთვის" ჩამორთმეულ და მისთვის გადაცემულ ტიტულს? გახდა და დაამატეს, მაგრამ მილიონერი მაინც უკმაყოფილოა — მას 2002 წლის 5 მაისი აგონდება.

„იმ დღეს, სიენაში სკუდეტო რომ მოვიგეთ, ბედნიერი ვიყავი. მიხაროდა ფანებთან ერთად, მიხაროდა მწვრთნელის წარმატება, კლუბის ყველა თანამშრომლის შრომის დაფასება, მიხაროდა, რომ ჩვენს ქომაგებს, ბოლოს და ბოლოს, ზეიმის საშუალება მიეცათ, მაგრამ ამ სიხარულთან ერთად კმაყოფილების ნაკლებობასაც განვიცდიდი. მთელი ამ წლების განმავლობაში ჩვენ გვძარცვავდნენ და ამის შეგრძნება მღრღნიდა გულს. ტიტულები, რომლებიც ჩვენ უნდა მოგვეგო, წაიღეს, ჩაიჯიბეს და ეს მელანქოლიურ განწყობაზე მაყენებს. კმაყოფილი ვერაფრით ვიქნები, რადგან ფეხბურთი იგივეა, რაც ადრე იყო. ჩვენს გარშემო იგივე ადამიანები ტრიალებენ და ბევრი რამ ისევე გრძელდება. ვერავინ გაბედა სკანდალის წამოწყება და მიზეზთა მიზეზებისთვის ხელის ქეჩოში ჩავლება".

„კორიერე დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში მორატი მისი მმართველობის 18 წელიწადს, უფრო სწორად კი, მის უარეს მომენტებს იგონებს. ცუდ მომენტთა შორის ერთ-ერთი უპირველესი კი 2002 წლის 5 მაისია, როდესაც „ინტერმა" ბოლო ტურში 2:4 წააგო და სკუდეტო ხელიდან გაუშვა.



„იმ დამარცხების შემდეგ ჟურნალისტების ჯგუფთან ერთად ჩემს ოფისში ვისხედით. ყველაფრის თავიდან დაწყებისა და შეცდომების გამოსწორების მწველი სურვილი მაწვალებდა. ფაქტია, ჩვენ შეცდომები დავუშვით და ამაზე დავა საჭირო არც არის. გარდა ამისა, იყვნენ გუნდები, რომელთაც უკეთ ითამაშეს, მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, მთავარი ისაა, თუ რა ხდებოდა ჩემპიონატის ბოლო დღეებში და ამის გახსენება ტკივილს იწვევს".

იტალიის ჩემპიონის ტიტული იმ წელიწადსაც „იუვენტუსმა" მოიგო და მორატი დარწმუნებულია, რომ ესაც რაღაცნაირად „კალჩოპოლურ" თაღლითობებთან იყო დაკავშირებული.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ „შავ-თეთრების" მავანმა დირექტორ-ყოფილმა საჯაროდ მოყვა, რომ „იუვეს" შეფები, ჯირაუდო და მოჯი იმთავითვე ქრთამავდნენ ფედერაციის ჩინოვნიკებსა და მსაჯებს — საუბარია ძვირფას საჩუქრებზე. ეს დირექტორ-ყოფილი გახლავთ მაურიციო კაპობიანკო, რომელსაც გამომძიებლები „ჩაუსხდნენ", თუმცა ჩვენ მორატის დავუბრუნდეთ...

მორატი: „ჩვენ პროექტები გვაქვს. ჩვენ ჩვენი ენერგიის ას პროცენტს ფეხბურთს ვუთმობთ. ჩვენ „ინტერში" ისევე ვმუშაობთ, როგორც ადრე, მაგრამ ღიმილს ნუ მომთხოვთ. სანამ ფეხბურთში ისეთივე სისტემა მუშაობს, მე ვერ გავიღიმებ. „იუვენტუსთან" დაპირისპირებამ ხომ მეტისმეტად დამღალა. მესმის „იუვეს" ფანების — მათ რაღაცისა სწამდათ და გაწბილებულებს ყველაფრის ამოსანთხევად ახლა მტერი სჭირდებათ, მაგრამ იმ ხალხისა, ვინც კლუბში მუშაობდა, ვერაფერი გამიგია: როგორ ვერ ხედავდნენ, რა ხდებოდა მათ სამსახურში? და რა, ახლა ყველაფერი ილუზიონისტმა გააქრო? ყველა ისე ლაპარაკობს, გეგონება, უხსოვარ დროს იგონებდნენ".

**ბაჩუნა ძიდია**

# ბლატერს ჩხუბი ახლა გაახსენდა



**ფიფას** პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა, რომელსაც, სავარაუდოდ, მესამე ვადითაც აირჩევენ, რამდენიმე საინტერესო განცხადება გააკეთა. იგი შეეხო ჩემპიონთა ლიგაში „ვალენსია" — „ინტერისა" და ინგლისის ლიგის თასის ფინალში „არსენალი" — „ჩელსის" შეხვედრაში მომხდარ გუნდურ ჩხუბებს.

„ამ მატჩებში საშინელი ამბები მოხდა. ასეთი რაღაცები ფეხბურთში მიუღებელია და იმედია, მომავალში არ განმეორდება. ყველა, ვინც ფეხბურთშია ჩარეული, მსგავსი ინციდენტისგან თავს შორს უნდა იჭერდეს" — აღნიშნა ბლატერმა.

ფიფას პრეზიდენტმა მოიწონა „მილანისა" და „იუვენტუსის" საქციელი, რომლებიც კალჩოპოლის ვერდიქტს შეეგუენ და სამოქალაქო სასამართლოს არ მიმართეს.

ზეპ ბლატერი: „იუვეს" სერია B-ში დაქვეითება და „მილანისთვის" ქულების დაკლება სერიოზული გადაწყვეტილებები იყო. კლუბებმა ეს ვერდიქტი მიიღეს, რითაც დაამტკიცეს, რომ წესებს პატივს სცემენ. წინა წლის მოვლენების მერე იტალია ფიფას საპატივცემულო წევრი გახდა. მადლობას ვუხდი იტალიის ოლიმპიურ კომიტეტსა და ფეხბურთის ფედერაციას ამ სკანდალთან კარგად გამკლავებისთვის".

**გიორგი ძაძამაძე**

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 3 | ლინკოლნი-როვერსი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 490 | ექსეტერი-მორეკამბი | 2.40 | 3.10 | 2.70 | 1.35 | 1.27 | 1.44 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 15:30 | 5 | დანდი იუნ.-მოზერუელი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 15:30 | 6 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 15:30 | 7 | სტ.მირენი-ინვერნესი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 8 | აბერდინი-რეინჯერსი | 2.50 | 3.30 | 2.55 | 1.42 | 1.26 | 1.43 |
| 17:00 | 10 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 3.55 | 3.30 | 1.90 | 1.71 | 1.23 | 1.20 |
| 17:00 | 12 | კილმარნოკი-ჰარტსი | 4.00 | 3.20 | 1.85 | 1.77 | 1.26 | 1.17 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 17:30 | 13 | ბაიერნი-მაინცი | 1.35 | 4.30 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.85 |
| 17:30 | 15 | აინტრახტი-ჰერტა | 2.20 | 3.30 | 2.95 | 1.32 | 1.26 | 1.55 |
| 17:30 | 16 | ჰამბურგი-ალემანია | 1.60 | 3.70 | 5.20 | 1.11 | 1.22 | 2.16 |
| 17:30 | 17 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 1.85 | 3.50 | 3.80 | 1.21 | 1.24 | 1.82 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 18 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 2.45 | 3.30 | 2.60 | 1.40 | 1.26 | 1.45 |
| 17:30 | 19 | მიონხენგლადბახი-ბოხუმი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 17:30 | 20 | შალკე-არმინია | 1.22 | 5.60 | 10.00 | 1.00 | 1.08 | 3.58 |
| 17:30 | 22 | შტუტგარტი-კოტბუსი | 1.20 | 6.30 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 4.13 |
| 17:30 | 23 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 3.20 | 3.30 | 2.10 | 1.62 | 1.26 | 1.28 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 17:30 | 52 | ალტახი-მატერსბურგი | 3.60 | 3.20 | 1.90 | 1.69 | 1.24 | 1.19 |
| 17:30 | 53 | რაპიდი-პაშინგი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 17:30 | 54 | რიდი-აუსტრია | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 17:30 | 56 | ტიროლი-ზალცბურგი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 108 | მილანი-უდინეზე | 1.95 | 2.60 | 4.55 | 1.11 | 1.36 | 1.65 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 101 | ატალანტა-ინტერი | 2.50 | 3.10 | 2.70 | 1.38 | 1.29 | 1.44 |
| 17:00 | 103 | კალიარი-რომა | 1.60 | 3.40 | 5.80 | 1.08 | 1.25 | 2.14 |
| 17:00 | 104 | კიევო-ასკოლი | 1.12 | 6.50 | 20.00 | 1.00 | 1.06 | 4.90 |
| 17:00 | 105 | ემპოლი-რეჯინა | 2.60 | 2.40 | 2.95 | 1.24 | 1.38 | 1.32 |
| 17:00 | 106 | ლაციო-პარმა | 3.35 | 2.30 | 2.50 | 1.36 | 1.43 | 1.19 |
| 17:00 | 107 | მესინა-ფიორენტინა | 7.50 | 3.70 | 1.45 | 2.47 | 1.21 | 1.04 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 110 | პალერმო-სიენა | 2.35 | 2.50 | 3.70 | 1.21 | 1.43 | 1.49 |
| 17:00 | 111 | სამპდორია-კატანია | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 22:00 | 126 | ბეტისი-ტარაგონა | 1.45 | 3.70 | 7.20 | 1.04 | 1.20 | 2.44 |
| 22:00 | 131 | მალიორკა-ვალენსია | 3.30 | 3.20 | 2.10 | 1.62 | 1.28 | 1.26 |
| 23:45 | 136 | სარაგოსა-ბილბაო | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 23:00 | 124 | ატლეტიკო-ბარსელონა | 3.25 | 3.20 | 2.10 | 1.61 | 1.27 | 1.26 |
| 19:00 | 127 | ესპანიოლი-ხეტაფე | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 19:00 | 128 | დეპორტივო-სევილია | 3.50 | 3.20 | 2.05 | 1.67 | 1.29 | 1.24 |
| 19:00 | 130 | ლევანტე-ოსასუნა | 2.25 | 2.90 | 3.30 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| 21:00 | 132 | უელვა-რეალი | 4.80 | 3.30 | 1.75 | 1.95 | 1.28 | 1.14 |
| 19:00 | 134 | სოსიედადი-სელტა | 1.95 | 3.30 | 3.65 | 1.22 | 1.27 | 1.73 |
| 19:00 | 135 | ვილიარეალი-რასინგი | 1.75 | 3.30 | 4.55 | 1.14 | 1.26 | 1.91 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 20:30 | 137 | ალავესი-ეხიდო | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 20:30 | 139 | ალმერია-პონფერადინა | 1.55 | 3.70 | 5.20 | 1.09 | 1.19 | 2.16 |
| 20:30 | 142 | სპორტინგი-სალამანკა | 2.30 | 2.90 | 3.20 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 20:30 | 143 | ჰერკულესი-სერესი | 2.40 | 3.00 | 2.90 | 1.33 | 1.31 | 1.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 145 | ნუმანსია-ლას პალმასი | 2.05 | 3.00 | 3.60 | 1.21 | 1.30 | 1.63 |
| 20:30 | 147 | ვეცინდარიო-რეალი(ბ) | 3.30 | 3.20 | 2.05 | 1.62 | 1.26 | 1.24 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 138 | ალბასეტე-სიუდადი | 2.25 | 2.90 | 3.20 | 1.26 | 1.32 | 1.52 |
| 20:00 | 140 | კადისი-ლორკა | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 20:30 | 141 | კასტელონი-ვალიადოლიდი | 2.95 | 2.90 | 2.40 | 1.46 | 1.32 | 1.31 |
| 14:00 | 144 | მურსია-ელჩე | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 19:30 | 146 | ტენერიფე-მალაგა | 2.05 | 3.00 | 3.60 | 1.21 | 1.30 | 1.63 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 148 | ოსერი-ლილი | 2.10 | 3.00 | 3.50 | 1.23 | 1.31 | 1.61 |
| 22:45 | 149 | ლე მანი-ბორდო | 3.10 | 3.00 | 2.30 | 1.52 | 1.32 | 1.30 |
| 22:45 | 150 | ლანსი-ნიცა | 1.65 | 3.30 | 5.50 | 1.10 | 1.26 | 2.06 |
| 22:45 | 151 | მონაკო-ლიონი | 2.80 | 2.90 | 2.55 | 1.42 | 1.33 | 1.35 |
| 22:45 | 153 | ნანსი-სოშო | 2.55 | 2.90 | 2.85 | 1.35 | 1.34 | 1.43 |
| 22:45 | 154 | ნანტი-ტულუზი | 3.10 | 3.00 | 2.30 | 1.52 | 1.32 | 1.30 |
| 22:45 | 155 | პსჟ-ტრუა | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 22:45 | 156 | რენი-ლორიანი | 1.75 | 3.20 | 4.80 | 1.13 | 1.28 | 1.91 |
| 22:45 | 157 | სედანი-ვალენსიენი | 2.45 | 2.90 | 2.95 | 1.32 | 1.33 | 1.46 |
| 22:45 | 158 | სტ.ეტიენი-მარსელი | 3.00 | 3.00 | 2.35 | 1.50 | 1.31 | 1.31 |
| | | ჰოლანდია.პლეი ოფი | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 14:30 | 372 | ვიტესი-ნაიმეგენი | 2.10 | 3.20 | 3.15 | 1.26 | 1.25 | 1.58 |
| 16:30 | 373 | უტრეხტი-გრონინგენი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 16:30 | 374 | დორდრეხტი-ვალვაიკი | 3.30 | 3.30 | 2.00 | 1.64 | 1.24 | 1.24 |
| 16:30 | 375 | ვენლო-დენ ბოსხი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 22:15 | 189 | ამადორა-ლეირია | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 22:15 | 190 | ბეირა მარი-ფერეირა | 2.05 | 3.30 | 3.15 | 1.26 | 1.24 | 1.61 |
| 22:15 | 191 | ბენფიკა-აკადემიკა | 1.15 | 6.40 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.17 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 193 | ბრაგა-ნასიონალი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 22:15 | 194 | მარიტიმუ-ბოავიშტა | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| 22:15 | 195 | ნავალი-სეტუბალი | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 22:15 | 196 | პორტუ-ავეში | 1.15 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.21 |
| 22:15 | 198 | სპორტინგი-ბელენენსეში | 1.25 | 5.10 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.37 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 256 | ოლბორგი-ესბიერგი | 1.60 | 3.60 | 5.20 | 1.10 | 1.22 | 2.12 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 257 | რანდერსი-ჰორსენსი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 17:00 | 258 | სილკებორგი-ნორდსიელანდი | 4.30 | 3.40 | 1.80 | 1.89 | 1.26 | 1.17 |
| 17:00 | 259 | ვეილე-მიდტიულანდი | 4.30 | 3.60 | 1.75 | 1.95 | 1.24 | 1.17 |
| 20:00 | 260 | ვიბორგი-კოპენჰაგენი | 5.30 | 3.50 | 1.65 | 2.10 | 1.25 | 1.12 |
| 17:00 | 261 | ბრიონდბიუ-ოდენსე | 2.25 | 3.30 | 2.95 | 1.33 | 1.27 | 1.55 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 298 | იისტერსი-ნორჩიოპინგი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 15:00 | 311 | პაკ-მარიეჰამნი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 19:30 | 312 | ინტერი-ჰონკა | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 534 | ბრეი-სლიგო | 2.45 | 3.10 | 2.65 | 1.36 | 1.27 | 1.42 |
| 22:45 | 535 | კორკი-ბოჰემიანი | 2.00 | 3.10 | 3.35 | 1.21 | 1.25 | 1.61 |
| 22:45 | 536 | გალვეი-დუბლინი | 2.55 | 3.10 | 2.50 | 1.39 | 1.26 | 1.38 |
| 23:00 | 537 | შემროკი-უოტერფორდი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 22:30 | 538 | ლონგფორდი-დერი | 3.50 | 3.10 | 1.95 | 1.64 | 1.25 | 1.19 |
| | | 21 მაისი | | | | | | |
| 23:00 | 539 | სტ.პატრიკსი-დროგედა | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | აშშ | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 329 | ჩიკაგო-დალასი | 2.30 | 3.10 | 2.80 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| | | მექსიკა | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 513 | კრუს ასული-პაჩუკა | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 23:45 | 514 | ამერიკა-ჩივასი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| | | იტალია. თასი | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 19:30 | 358 | ინტერი-რომა | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| | | ჩეხეთი. თასი | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 19:15 | 360 | ზლინი-სპარტა | 3.70 | 3.20 | 1.95 | 1.71 | 1.27 | 1.21 |
| | | დანია. თასი | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 407 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1.60 | 3.50 | 5.15 | 1.09 | 1.22 | 2.08 |
| | | შვედეთი. თასი | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 362 | ჰალმსტადი-ბრომაპოიკარნა | 1.65 | 3.50 | 4.30 | 1.12 | 1.19 | 1.92 |
| 19:00 | 364 | ლიუნგბიუ-გიოტებორგი | 12.00 | 5.70 | 1.15 | 3.86 | 1.04 | 1.00 |
| 17:00 | 370 | გეფლე-იურგორდენი | 2.60 | 3.30 | 2.25 | 1.45 | 1.20 | 1.33 |
| 17:00 | 371 | ქვიდინგი-ჰეკენი | 3.50 | 3.30 | 1.85 | 1.69 | 1.21 | 1.18 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 511 | ბოკა ხუნიორსი-ლიბერტადი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| | | ჩოგბურთი.კაცები. ჰამბურგი | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 13:00 | 525 | დ ფერერი-ლიუბიჩიჩი | 1.45 | 2.40 | | | | |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10003 | ლინკოლნი-როვერსი | 2.55 | 2.00 | 3.45 | 1.12 | 1.46 | 1.26 |
| 10052 | ალტახი-მატერსბურგი | 4.00 | 2.10 | 2.35 | 1.37 | 1.48 | 1.10 |
| 10053 | რაპიდი-პაშინგი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10054 | რიდი-ავსტრია | 2.30 | 2.10 | 4.25 | 1.09 | 1.49 | 1.40 |
| 10056 | ტიროლი-ზალცბურგი | 3.35 | 2.00 | 2.65 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10311 | პაკ-მარიეჰამნი | 1.90 | 2.20 | 6.00 | 1.01 | 1.44 | 1.60 |
| 10312 | ინტერი-ჰონკა | 3.10 | 2.00 | 3.00 | 1.21 | 1.52 | 1.20 |
| 10357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 3.10 | 1.90 | 3.10 | 1.17 | 1.54 | 1.17 |
| 10358 | ინტერი-რომა | 2.25 | 2.00 | 4.50 | 1.05 | 1.50 | 1.38 |
| 10372 | ვიტესი-ნაიმეგენი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10373 | უტრეხტი-გრონინგენი | 2.45 | 2.00 | 3.65 | 1.10 | 1.46 | 1.29 |
| 10374 | დორდრეხტი-ვალვაიკი | 3.75 | 2.00 | 2.45 | 1.30 | 1.48 | 1.10 |
| 10375 | ვენლო-დენ ბოსხი | 2.45 | 2.00 | 3.65 | 1.10 | 1.46 | 1.29 |
| 10407 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 2.05 | 2.20 | 5.70 | 1.06 | 1.50 | 1.58 |
| 10490 | ექსეტერი-მორეკამბი | 2.80 | 2.00 | 3.10 | 1.16 | 1.47 | 1.21 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11003 | ლინკოლნი-როვერსი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11052 | ალტახი-მატერსბურგი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11053 | რაპიდი-პაშინგი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11054 | რიდი-ავსტრია | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11056 | ტიროლი-ზალცბურგი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11311 | პაკ-მარიეჰამნი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11312 | ინტერი-ჰონკა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11358 | ინტერი-რომა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11372 | ვიტესი-ნაიმეგენი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11373 | უტრეხტი-გრონინგენი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11374 | დორდრეხტი-ვალვაიკი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11375 | ვენლო-დენ ბოსხი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11407 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11490 | ექსეტერი-მორეკამბი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12003 | ლინკოლნი-როვერსი | 1.70 | 1.90 |
| 12052 | ალტახი-მატერსბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12053 | რაპიდი-პაშინგი | 1.90 | 1.70 |
| 12054 | რიდი-ავსტრია | 1.70 | 1.90 |
| 12056 | ტიროლი-ზალცბურგი | 2.00 | 1.60 |
| 12311 | პაკ-მარიეჰამნი | 1.70 | 1.90 |
| 12312 | ინტერი-ჰონკა | 1.70 | 1.90 |
| 12357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.60 | 2.00 |
| 12358 | ინტერი-რომა | 2.20 | 1.50 |
| 12372 | ვიტესი-ნაიმეგენი | 2.00 | 1.60 |
| 12373 | უტრეხტი-გრონინგენი | 1.90 | 1.70 |
| 12374 | დორდრეხტი-ვალვაიკი | 2.00 | 1.60 |
| 12375 | ვენლო-დენ ბოსხი | 2.00 | 1.60 |
| 12407 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 2.00 | 1.60 |
| 12490 | ექსეტერი-მორეკამბი | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13003 | ლინკოლნი-როვერსი | 1.70 | 1.90 |
| 13052 | ალტახი-მატერსბურგი | 1.60 | 2.00 |
| 13053 | რაპიდი-პაშინგი | 1.70 | 1.90 |
| 13054 | რიდი-ავსტრია | 1.70 | 1.90 |
| 13056 | ტიროლი-ზალცბურგი | 1.55 | 2.20 |
| 13311 | პაკ-მარიეჰამნი | 1.90 | 1.70 |
| 13312 | ინტერი-ჰონკა | 1.60 | 2.00 |
| 13357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.70 | 1.90 |
| 13358 | ინტერი-რომა | 1.50 | 2.30 |
| 13372 | ვიტესი-ნაიმეგენი | 1.55 | 2.20 |
| 13373 | უტრეხტი-გრონინგენი | 1.60 | 2.00 |
| 13374 | დორდრეხტი-ვალვაიკი | 1.50 | 2.30 |
| 13375 | ვენლო-დენ ბოსხი | 1.55 | 2.20 |
| 13407 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1.70 | 1.90 |
| 13490 | ექსეტერი-მორეკამბი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14003 | ლინკოლნი-როვერსი | 1.80 | 2.00 |
| 14052 | ალტახი-მატერსბურგი | 2.20 | 1.70 |
| 14053 | რაპიდი-პაშინგი | 1.45 | 2.40 |
| 14054 | რიდი-ავსტრია | 1.65 | 2.30 |
| 14056 | ტიროლი-ზალცბურგი | 2.00 | 1.80 |
| 14311 | პაკ-მარიეჰამნი | 1.30 | 2.50 |
| 14312 | ინტერი-ჰონკა | 1.85 | 1.95 |
| 14357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.90 | 1.90 |
| 14358 | ინტერი-რომა | 1.65 | 2.30 |
| 14372 | ვიტესი-ნაიმეგენი | 1.75 | 2.10 |
| 14373 | უტრეხტი-გრონინგენი | 1.75 | 2.10 |
| 14374 | დორდრეხტი-ვალვაიკი | 2.20 | 1.70 |
| 14375 | ვენლო-დენ ბოსხი | 1.75 | 2.10 |
| 14407 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1.30 | 2.50 |
| 14490 | ექსეტერი-მორეკამბი | 1.85 | 1.95 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15003 | ლინკოლნი-როვერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15052 | ალტახი-მატერსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15053 | რაპიდი-პაშინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15054 | რიდი-ავსტრია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15056 | ტიროლი-ზალცბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15311 | პაკ-მარიეჰამნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15312 | ინტერი-ჰონკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15358 | ინტერი-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15372 | ვიტესი-ნაიმეგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15373 | უტრეხტი-გრონინგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15374 | დორდრეხტი-ვალვაიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15375 | ვენლო-დენ ბოსხი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15407 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15490 | ექსეტერი-მორეკამბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16003 | ლინკოლნი-როვერსი | 1.55 | 2.20 |
| 16052 | ალტახი-მატერსბურგი | 2.45 | 1.40 |
| 16053 | რაპიდი-პაშინგი | 1.25 | 3.40 |
| 16054 | რიდი-ავსტრია | 1.32 | 3.00 |
| 16056 | ტიროლი-ზალცბურგი | 2.05 | 1.65 |
| 16311 | პაკ-მარიეჰამნი | 1.14 | 4.70 |
| 16312 | ინტერი-ჰონკა | 1.80 | 1.85 |
| 16357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.82 | 1.82 |
| 16358 | ინტერი-რომა | 1.30 | 3.00 |
| 16372 | ვიტესი-ნაიმეგენი | 1.50 | 2.30 |
| 16373 | უტრეხტი-გრონინგენი | 1.45 | 2.45 |
| 16374 | დორდრეხტი-ვალვაიკი | 2.30 | 1.48 |
| 16375 | ვენლო-დენ ბოსხი | 1.45 | 2.45 |
| 16407 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1.22 | 3.40 |
| 16490 | ექსეტერი-მორეკამბი | 1.70 | 1.95 |

### გოლი:წყვილი-ითუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17003 | ლინკოლნი-როვერსი | 1.85 | 1.95 |
| 17052 | ალტახი-მატერსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17053 | რაპიდი-პაშინგი | 1.85 | 1.95 |
| 17054 | რიდი-ავსტრია | 1.85 | 1.95 |
| 17056 | ტიროლი-ზალცბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17311 | პაკ-მარიეჰამნი | 1.85 | 1.95 |
| 17312 | ინტერი-ჰონკა | 1.85 | 1.95 |
| 17357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17358 | ინტერი-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17372 | ვიტესი-ნაიმეგენი | 1.85 | 1.95 |
| 17373 | უტრეხტი-გრონინგენი | 1.85 | 1.95 |
| 17374 | დორდრეხტი-ვალვაიკი | 1.85 | 1.95 |
| 17375 | ვენლო-დენ ბოსხი | 1.85 | 1.95 |
| 17407 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1.85 | 1.95 |
| 17490 | ექსეტერი-მორეკამბი | 1.85 | 1.95 |

## შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი
### სუპერფინალი (სამ მოგებამდე)

# რუსთავში ოქროს სუნი დატრიალდა
## ტულუშის სამიანები და დაცვა, დაცვა...

## აზოტი 2:0 ავიამშენი

16 მაისი. რუსთავი

**აზოტი 86:75 ავიამშენი**

26:26, 18:19, 23:10, 19:20

**აზოტი:** გამყრელიძე (13), ტულუში (18), ბოისა (5), ბეჟანიშვილი (15), უგრეხელიძე (18 ქულა, 15 მოხსნა); მარკოიშვილი (7), დიდია (5), ტუჯანი (2), გოგობერიშვილი (3), მალეშევიჩი
**ავიამშენი:** ი. ბერიშვილი (11), ხოშტარია (11), ბარბაქაძე (8), ბაბიაშვილი (12), სუხიშვილი (8); როდუმტა (13), ნიკოლაძე (7), დ. ბერიშვილი (5), კუიდია, კვიმსაძე, ნინიაშვილი
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, დავით არეშიძე
კომისარი: მურმან ქურიძე

**ირაკლი პერტაია** *რუსთავიდან*

გუშინწინდელს დარად, რუსთავის „აზოტმა" გუშინაც დაამარცხა თბილისის „ავიამშენი" და ეს მატჩები გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ანგარიშს შეხედეთ: მთლად ქულა-ქულაში არ დამჯდარა, მაგრამ კალათბურთში, სადაც ფეხბურთისგან განსხვავებით ანგარიშის ათასობით ვარიანტი არსებობს, ესეც გვარიანი დამთხვევაა. სერიის პირველი ჯახი „აზოტმა" 85:75 მოიგო, გუშინ კი რუსთაველებმა 86:75 იმარჯვეს.

ეს იყო ორი რადიკალურად განსხვავებული ნაწილისგან შემდგარი მატჩი. პირველი ისეთი თანაბარი იყო, მისი ანალოგი ამ ჩემპიონატში ძნელად მოიძებნება, ხოლო მეორე „აზოტის" სრული უპირატესობით წარიმართა და, ბუნებრივია, ამ გუნდის გამარჯვებით დასრულდა.

გამარჯვება გამოჭედა კოტე ტულუშის სამქულიანებისა და რუსთაველების დაცვის ნაზავმა. ყველაფერი 3-4 წუთში გადაწყდა — მესამე მეოთხედის შუაწელში ანგარიში საყაიმო გახლდათ და მასპინძლები აფეთქდნენ. უფრო სწორად, კოტე ტულუშმა აიწყვიტა, რომელმაც მიჯრით სამი სამქულიანი უთავაზა თბილისელებს და ამას ჟოლივეტ ტუჯანიმაც რომ მიაშველა ორიანი, „აზოტმა" გადამწყვეტი მეოთხედის წინ საიმედო უპირატესობას მიაღწია — 67:55. ანუ რუსთაველებმა 14:2 მოიგეს მესამე მეოთხედის ბოლო 5 წუთი და ეს ამ ზეთანაბარ თამაშში უკვე ლამის გამარჯვებას ნიშნავდა.

ზემოთ ტყუილად არ გვიხსენებია „აზოტის" დაცვა. ტულუში ვერაფერს იზამდა, მის თანაგუნდელებს დაცვაში რომ არ ეყოჩაღათ. იმ ხუთწუთიან მონაკვეთში მასპინძელთა დაცვა ლამის გაუვალი გახდა. ქვემოქართლელები პერიმეტრსაც საიმედოდ იცავდნენ და საკუთარ საჯარიმოსაც. „ავიატორებმა" ვერც შორიდან მოახერხეს სროლა და როცა ფარქვეშ შესვლას ლამობდნენ, იქ რუსთაველთა დაცვის ჯებირებს ეჯახებოდნენ.

ამ ეპიზოდამდე გუნდები თავს იკლავდნენ, მაგრამ ერთმანეთს ვერაფერი დააკლეს. პირველივე წამიდან რომ დაიწყეს ქულების მორიგეობით ხვეჭა, მთელი 25 წუთის მანძილზე ასე გრძელდებოდა. ბურთები მოწინააღმდეგეთა კალათებში ისე რიგრიგობით ცვიოდა, პინგ-პონგი გაგახსენდებოდათ. არც ერთი გუნდი 3-4 ქულაზე მეტით არ გაჭრილა წინ, სანამ მესამე მეოთხედის შუაწელმა და ზემოთ ნახსენებმა ეპიზოდმა არ მოიტანა.

ლევან მოსეშვილმა სერიის პირველ მატჩში თავგამოჩენილ დავით უგრეხელიძეს საგანგებო მეურვე მიუჩინა ლადო სუხიშვილის სახით, რომლის სასტარტო ხუთეულში თამაშიც ცოტა მოულოდნელი აღმოჩნდა რუსთაველთათვის. „სუხიმ" უგრეხელიძეს თავიდან გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია და ფარქვეშ ძალებიც დააბალანსა. იქით ზვიად ბაბიაშვილმა და ვლადიმერ ბეჟანიშვილმა გამოუცხადეს ერთმანეთს ომი და საბოლოო ჯამში ფრთები ვერც ერთმა ვერ გაშალა.

შესაბამისად, ასპარეზი უკანახაზელებს დარჩათ და ძირითადად დაბლები — ხან შორი სროლებით, ხანაც სწრაფი გარღვევებით, მორიგეობით იხვეჭდნენ ქულებს. მასპინძელთაგან ლაშა გამყრელიძე ათამაშებდა ბურთს, რომელსაც ხელსაყრელ პოზიციაზე თუ არ ეგულებოდა თავისიანი, თვითონ ცდილობდა მეტოქის დაცვის გარღვევას და ხშირადაც აღწევდა მიზანს.

ამ ორმხრივ მოწადინებას ის სარგებელი მოჰქონდა გუნდებისთვის, რომ არ ჩამორჩენილიყვნენ, თორემ ლიდერობის მოპოვება-გასამყარებლად საკმარისი არ იყო. 8:8, 18:18, 26:26, 34:34, 40:40, 53:53 — ეს რაა, ორი ამდენი საყაიმო ანგარიში დაფიქსირდა, თუმც ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ბოლო შედეგი ბოლო თანაბრობა იყო ამ მატჩში.

სწორედ 53:53-ზე მოახდინეს გადატრიალება რუსთაველებმა და კოტე ტულუშის სამი სამქულიანი ყუმბარის მერე ბოლო შესვენებაზე გულდამშვიდებულნი, 12-ქულიანი ჰანდიკაპით გავიდნენ.

„ავიამშენს" რაც ძალა ჰქონდა, ამ ეპიზოდამდე ბრძოლას შეალია და ამხელა ჩამორჩენას რომ ვერ გააბათილებდა, იმთავითვე ცხადი იყო. თავის მხრივ, შინაურ კედლებში მოთამაშე რუსთაველები ამ სცენარის მატჩში მოპოვებულ ამხელა უპირატესობას რომ არ გაანიავებდნენ, ესეც ორჯერ ორივით ჩანდა და ბოლო მეოთხედი წმინდა წყლის ფორმალობად იქცა. „ავიამშენმა" რაც მოახერხა, მეტოქესთან ათი ქულით მიახლოვება იყო და ბოლო წამებზე „აზოტს" სამიანის ნაცვლად ორქულიანი რომ ჩაეგდო, მთლად წინა დღის მსგავსი ანგარიში დაფიქსირდებოდა.

დღეს დასვენებაა და ხვალიდან ფინალური სერია ვერის ბაღში გაგრძელდება. „აზოტს" ერთი მოგებაღა უკლია ჩემპიონობამდე, მაგრამ ბოლო ნაბიჯის თბილისში გადადგმა რუსთაველებისთვის ალბათ საძნელო იქნება.



## მესამე ადგილისთვის (ორ მოგებამდე)

## თსუ 1:1 დინამო

16 მაისი. ვერის ბაღი

**დინამო 94:92 თსუ**

25:22 11:16 19:21 24:20 15:13

**დინამო:** გულისაბედაშვილი (17), ბადრიძე (6), ლაფანაშვილი (23), ნოზაძე (15), სიგუა, კოლუა (15), გვიმრაძე (18), ფაიქრიძე
**თსუ:** არწივიძე, ბ. ბერიშვილი (6), ფანჩულიძე, ლეჟავა (11), მარხვაშვილი (13), ვეფხვაძე, შანიძე (14), მათიაშვილი (2), ხეცურიანი (29), იმნაძე (9), მ. ბერიშვილი (5)
მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: როლანდ ხომერიკი

# დინამო კარს აჯახუნებს

**თსუ** ამ სეზონისგან, ვინ იცის, პირველ ადგილსაც კი მოელოდა და ვაითუ, მესამეც აღარ შეხვდეს. ნუგზარ ჭეიშვილის გუნდს მთელი სეზონის განმავლობაში მოსდევდა ამბიცია — ყველამ იცოდა, უნივერსიტეტელებს ფინალში გასვლა და იქაც ბოლომდე ბრძოლა სურდათ, მაგრამ მათ აშკარად ჩააგდეს პლეიოფი — „ავიამშენთან" ნახევარფინალში 0:3 დამარცხების შემდეგ მოკრძალებული მიზან-გეგმების მქონე „დინამოს" გადაეყარნენ და პირველი მატჩის 22 ქულით მოგებას მეორეში წაგება მიაყოლეს. სერია ორ მოგებამდეა, ასე რომ, თსუ-ს კიდევ ერთი წაგება ბრინჯაოს დაკარგვად დაუჯდება.

გუშინ უნივერსიტეტელები აშკარად მოდუნებულები ჩანდნენ და მიუხედავად იმისა, რომ „დინამოსგან" მთელი მატჩის განმავლობაში გრძნობდნენ წინააღმდეგობას, მაინც ბოლომდე ვერ მოფხიზლდნენ. მათ მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ განავარდების პერიოდი — პირველი მეოთხედის 22:25 დათმობის შემდეგ მეორე 10-წუთეული კარგად დაიწყეს, საწყის სამ წუთში 12 უპასუხო ქულა აულეს მეტოქეს და 34:25 დაწინაურდნენ. მაგრამ გეგონება, გამარჯვება ჯიბეში აქვთო, ყურადღება ისევ დაფანტეს და მას უპირატესობაც მიაყოლეს.

„დინამო" კი ბოლომდე იბრძოდა და იქნებ შესაძლებლობების მაქსიმუმსაც ავლენდა: ტაიმიც მხოლოდ 2 ქულით წააგო, მესამე მეოთხედი კი — ოთხით.

მეოთხე მეოთხედი სულ ახალი დაწყებული იყო, რომ დინამოელმა გულისაბედაშვილმა სამქულიანით მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა — 58:59, ოდნავ მოგვიანებით კი ლაფანაშვილმა ასევე სამიანით წინაც გაიყვანა „დინამო" — 70:68. ისევ გულისაბედაშვილი შორიდან და — 75:72. ესეც თქვენი ფავორიტი თსუ! სტუდენტებს თითქოს არ უჭირდათ პასუხის გაცემა, მაგრამ ქულა ქულაში წასულ თამაშში ჩანდა, რომ მათ აშკარად ხელიდან გაუშვეს სადავეები. 77:77 ანგარიშზე „დინამოს" ლიდერმა ლაფანაშვილმა ორიანი ჩააგდო და თსუ-ს მატჩის გადასარჩენად 4 წამი დარჩა (ოღონდ ტაბლოზე რატომღაც 2 წამი ენთო). გადამწყვეტი სროლა სტუდენტთაგან შიო ხეცურიანმა ითავა, ააცილა, მის ნასროლს კი შანიძემ დაამატა და 79:79 გაათანაბრა. დაიწყო დავა, ჩაეტია თუ არა თსუ 4 წამში. ბოლოს დადგინდა, რომ ჩაეტია და ეს ძალიან საინტერესოდ წარმართული მატჩი ოვერტაიმში გადაიზარდა.

თსუ-მ ვერც დამატებით ხუთწუთეულში გატეხა მეტოქე — სირენამდე წუთნახევრით ადრე „დინამო" 91:86 იგებდა. მაქსიმუმი, რაც სტუდენტებმა მოახერხეს ის იყო, რომ იმნაძის ორქულიანით მინიმუმამდე შეამცირეს ჩამორჩენა — 92:93. აქ დინამოელმა გვიმრაძემ ერთი საჯარიმო ჩააგდო და თსუ-ს კვლავ 4 წამი დარჩა თამაშის გადასარჩენად. ამჯერად არ ეყო და გამარჯვებაც „დინამოს" დარჩა.

მესამე გადამწყვეტი შეხვედრა 18 მაისს გაიმართება.

**ირაკლი ფირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

PLAYOFFS 2007

## აღმოსავლეთი

19 მაისი

### დეტროიტი 3:2 ჩიკაგო

**დეტროიტი 92:108 ჩიკაგო**

დეტროიტი: ბილაფსი (17), ჰამილტონი (16), ვოლესი (15), მაკდაისი (12)
ჩიკაგო: გორდონი (28), დენგი (20), ჰაინრიხი (17 ქულა, 13 პასი), ბრაუნი (15)

# ხარებს რქები ამოეწვერათ

კერკეტი გამოდგა „ჩიკაგო“, კიდევ ერთი „ზედმეტი“ თამაში გამოუწერა „დეტროიტს“, რომელიც სერიაში 3:0 დაწინაურების შემდეგ ფიქრებით შემდეგ რაუნდზე გადაერთო და ყურადღებაგაფანტულს მაგრადაც მოხვდა ყბაში.

„ჩიკაგომ“ სერიის მეოთხე თამაშში შინ პირველად მოუგო „დეტროიტს“ და მერე ისე „გათავხედა“, რომ დეტროიტშიც კი გაიმარჯვა. ეს კიდევ არაფერი, შემდეგ თამაშს საკუთარ კედლებში მართავს, ასე რომ...

ასეა თუ ისე, ეს უფერული სერია თამაშსა და თამაშს შუა გამოცოცხლდა. გამომცოცხლებულთა მთავარმექულე ბენ გორდონიც ამას ამბობს — ბევრმა ჩამოგვწერა, მაგრამ მთავარია, რომ ჩვენ არ ჩამოგვიწერია საკუთარი თავიო.

რა შეუძლია თავდაჯერებას, ეს გუშინწინდელ თამაშშიც გამოჩნდა, რომლის პირველ ტაიმში სტუმრებმა სროლების 72,2 პროცენტი ჩააგდეს და პლეი ოფების ყველა დროის რეკორდს მიუახლოვდნენ. მესამე ტაიმში კი მათ მასპინძლებს მთლად რეტი დაასხეს — 12-წუთეული 33:20 მოუგეს და 21 ქულით მოიტოვეს.

## დასავლეთი

### იუტა 4:1 გოლდენ სტეიტი

**იუტა 100:87 გოლდენ სტეიტი**

იუტა: კირილენკო (21 ქულა, 15 მოხსნა), ბუზერი (21 ქულა, 14 მოხსნა), ფიშერი (20), ოქური (14 ქულა, 10 მოხსნა)
გოლდენ სტეიტი: დევისი (21 ქულა, 8 პასი, 6 ჩაჭრა), ჯეკსონი (16), ბარნსი (14), რიჩარდსონი (13)

# მორმონები ჯაზის ჰანგებზე ზეიმობენ




კარლოს ბუზერი კარლმელოუნობს

ასე ჩაიფერფლა „გოლდენ სტეიტ უორიორზი“, გუნდი, რომელმაც ათწლეულის სენსაცია გამოაცხო და პლეი ოფში 12 წლის უქმობის შემდეგ ძლივს გამძვრალმა პირველი წრიდან სუპერფავორიტი „დალასი“ დაიფრინა. დონ ნელსონმა თითქოს ამიტომ გაიყვანა პლეი ოფში თავისი ყაჩაღები, რომ ამათ იქ ყველაფერი აერ-დაერიათ.

„იუტა“ მთლად საჩემპიონო გაქანების გუნდი ვერაა, მაგრამ მასთან „გოლდენ სტეიტი“ ძალიან უსუსურად გამოიყურებოდა. გაფერმკრთალდნენ და ჩაქრნენ რიჩარდსონ-ჯეკსონ-ჰარინგტონები, ელის-ბარნს-პიეტრუს-ბიედრინსები...

„იუტას“ მხოლოდ ერთი ნამდვილი ვარსკვლავი, ბაირონ დევისილა უწევდა წინააღმდეგობას და ამ ბოლო თამაშშიც მან თავის წილად საკმარისზე მეტი — 21 ქულა, 8 პასი და 6 ჩაჭრა გააზერხა, ხოლო პირადი ოპონენტი, „ჯაზის“ დირიჟორი დერონ უილიამსი მთლიანად ამოაგდო რიტმიდან — 34 წუთში 2 ქულას დააჯერა, მაგრამ მისი გარჯა არ აღმოჩნდა საკმარისი. „იუტამ“ პირწმინდად მოიგო მოედნის იმ მონაკვეთში, სადაც 191-სანტიმეტრიან, ამპლუით გამთამაშებელ დევისს, უბრალოდ, ხელი არ მიუწვდება. „ჯაზმენებმა“ „მეომრები“ ფარქვეშ გააცამტვერეს. ერთბაშად ოთხმა იუტელმა დააგროვა 10 და მეტი მოხსნა, „ჯაზმა“ კი „უორიორზი“ ამ კომპონენტში 59:35 გაანადგურა. „იუტამ“ პოზიციურ თამაშში ჩაითრია აქამდე ავანტიურულად, აცაბაცა მორბენალი სტეიტელები, ფარქვეშ თამაშში კი ბუზერ-ოქურ-კირილენკოს ძალამ (პირდაპირი გაგებით) აშკარად გადაწონა მეტოქე.

სოლტ ლეიკ სიტიში დიდი ზეიმი აქვთ მორმონებს. ლეგენდარული მელოუნ-სტოქტონის დუეტის დაშლიდან ანუ 2003 წლიდან აქამდე „ჯაზი“ პლეი ოფშიც კი არ გასულიყო, ახლა კი ამ კაციჭამიებით დასახლებულ დასავლეთ კონფერენციაში ფინალამდეც კი მივიდა და იქ „ფინიქსისა“ და „სან ანტონიოს“ შორის მკლავჭიდის პატივი ექნება.

**კოტე ყორშია**

# ნოვიცკი ნაღდია

## ამერიკა ევროპამაც აითვისა



**მანამდეც** ცნობილი იყო, მაგრამ 15 მაისს ნბა-მ ოფიციალურად გამოაცხადა — 2006-07 წლების სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ დასახელებულია „დალას მავერიკსის“ 213-სანტიმეტრიანი გერმანელი თავდამსხმელი დირკ ნოვიცკი.

გამოკითხული 129 ჟურნალისტიდან 83-მა ნოვიცკის მისცა პირველი ხმა, სულ კი გერმანელს 1138 ქულა მოუგროვდა. 44 პირველი ხმით და 1013 ქულით გამოკითხვაში მეორე იყო წინა ორი სეზონის უძვირფასესი მოთამაშე სტივ ნეში, ლიგის პირველ ბომბარდირ კობი ბრაიანტს კი საპატიო და მყარი მესამე ადგილი შეხვდა.

ნოვიცკი პირველი არაამერიკელი არ არის, ვინც ყველაზე პრესტიჟული ინდივიდუალური პრიზი მოიპოვა. გერმანელის წინამორბედები იყვნენ ჰაკიმ ოლაჯუონი (ნიგერია, 1994), ტიმ დანკანი (ვირჯინიის კუნძულები, 2002, 2003) და სტივ ნეში (კანადა, 2006, 2007), მაგრამ ნოვიცკი პირველი ევროპელი MVP გახლავთ, ამასთან უძირფასესთა შორის ის ერთადერთია, რომელმაც არაამერიკული საკალათბურთო წიაღებიდან ამოხეთქა ნბა-ში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 83 | 39 | 7 | - | - | 1138 |
| სტივ ნეში (ფინიქსი) | 44 | 74 | 11 | - | - | 1013 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 2 | 11 | 65 | 30 | 9 | 521 |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | - | 3 | 25 | 39 | 23 | 286 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | - | - | 11 | 31 | 35 | 183 |
| ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი) | - | 2 | 6 | 16 | 18 | 110 |
| კრის ბოში (ტორონტო) | - | - | 3 | 4 | 16 | 43 |
| ჯილბერტ არენასი (ვაშინგტონი) | - | - | 1 | 4 | 14 | 31 |
| კევინ გარნეტი (მინესოტა) | - | - | - | 2 | 1 | 7 |
| კარლოს ბუზერი (იუტა) | - | - | - | 1 | 4 | 7 |
| ჩონსი ბილაფსი (დეტროიტი) | - | - | - | 1 | 1 | 4 |
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | - | - | - | - | 3 | 3 |
| შაკილ ონილი (მაიამი) | - | - | - | 1 | - | 3 |
| ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი) | - | - | - | - | 2 | 2 |
| ბაირონ დევისი (გოლდენ სტეიტი) | - | - | - | - | 1 | 1 |
| კარმელო ენტონი (დენვერი) | - | - | - | - | 1 | 1 |
| ტონი პარკერი (სან ანტონიო) | - | - | - | - | 1 | 1 |

პირველი ხმა – 10 ქულა, მეორე – 7, მესამე – 5, მეოთხე – 3, მეხუთე – 1

# ფინიქსი გაილახა და დაისაჯა

„ფინიქს“ — „სან ანტონიოს“ სერია ისედაც ხომ დრამატული იყო და ამ ორს შორის ურთიერთობის გარკვევა კიდევ უფრო დაძაბულ ბრძოლაში გაგრძელდება. სერიის მეოთხე მატჩში — რომელიც სან ანტონიოში „ფინიქსმა“ მოიგო და ანგარიში 2:2 გაათანაბრა — შეხვედრის დამთავრებამდე 18 წამით ადრე მომხდარ აყალმაყალს ნბა-ს ჩინოვნიკების მხრიდან მეყსეული გამოხმაურება მოჰყვა. შეგახსენებთ, რომ მაშინ „სან ანტონიოს“ სათადარიგო ფორვარდმა რობერტ ჰორიმ უხეშად ჰკრა ხელი და დაბლა დასცა „ფინიქსის“ ლიდერი სტივ ნეში, რასაც გვარიანი გაწევ-გამოწევა მოჰყვა.




რობერტ ჰორისა და სტივ ნეშს შორის გაწევ-გამოწევამ ნეშის „ფინიქსი“ უფრო აზარალა

ნბა-ს სანქციები კი ასეთია: ჰორი პლეი ოფში 3 თამაშის გამოტოვებით დაისაჯა, ანუ „სან ანტონიოს“ „ფინიქსთან“ მისი იმედი სერიის ბოლომდე ვეღარ ექნება. ფინიქსელებს თითქოს ისეთი არაფერი დაუშავებიათ, მაგრამ მათ უფრო მძიმე სასჯელი ერგოთ. ჩხუბის დროს სათადარიგოთა სკამიდან წამოდგომისთვის, ვიმეორებთ: წამოდგომისთვის ნბა-მ თითო თამაშის გამოტოვებით დასაჯა ამარე სტუდემაიერი და ბორის დიაუ. „ფინიქსისთვის“ ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია — გუნდი ისედაც მთელი რეგულარული ჩემპიონატი და პლეი ოფი 6-7 კაცით თამაშობს, ეს ხალხი ისედაც გადაღლილია და ორის გამოკლება — თანაც საუკეთესო მექულე სტუდემაიერის — პირდაპირ კატასტროფაა.

„ფინიქსის“ მწვრთნელი მაიკ დანტონი არ გაცოფებულა. მან უმწეოდ გაშალა ხელები და თქვა — თუ ნბა-ს სურს, რომ ჩვენ ყველა შემთხვევაში წავაგოთ, უბრალოდ, გვითხრას და აღარ გამოვალთ სათამაშოდო. მოკლედ, აშკარად გვჩაგრავენო, ნათქვამი ასე გამოუვიდა დანტონის.

ნბა-ს მამამთავარი დევიდ შტერნი კი ფიქრობს, როგორ დასაჯოს ამ სიტყვების მთქმელი დანტონი.

**კოტე ყორშია**

## სუმო



# შქუღო კოპაი იოკოძუნას მიადგა

ვერა და ვერ ახერხებს ქართველი კოკაი კოკუგიკანურ ბაშოზე პირველი ქულის მოპოვებას. ვეტერან ოძეკი კაიოსთან გუშინდელ რკინაში ამ უკანასკნელის მაღალი წლების მიუხედავად, ურთიერთშეხვედრების სტატისტიკისა გვერდებოდა, მაგრამ კაიოსთან ლევან ცაგურიას უპირატესობა ერთი ქულით შემცირდა. ოძეკიმ ჩვენებური მძლავრი სასტარტო შეტევით ას ოთხმოცი გრადუსით შეაბრუნა და მორიგი მძლავრი ბიძგებით დოჰიოს მიღმა გადაუშვა.

ოთქულიანი მინუს ბალანსის სამამდე დაყვანას „შავი ზღვა“ დღეს შეეცდება, მაგრამ მიზნის მიღწევა ძალიან გაუჭირდება. მის პირისპირ ხომ ოცდამეერთე საუკუნის პირველი და ერთადერთი იოკოძუნა, ასასიორიუ დადგება. მონღოლი „ცისფერი დრაკონი“ ქართველ „შავ ზღვას“ აქამდე თორმეტჯერ დასჭიდებია და მხოლოდ ორჯერ წაუგია. მიმდინარე ბაშოზე კი იგი ასპროცენტიანი შედეგით მიიწევს იმპერატორის თასისკენ.

ასასიორიუს თანალიდერთა სიას გუშინ ოძეკი კოტოოსიუ გამოაკლდა. ორმეტრიანი ბულგარელი გუშინ დოჰიოზე ექსსეკივაკე ტამანოსიმამ გაშხლართა. იოკოძუნამ მარტის ბაშოზე ნაწვნევი მარცხის გამო თანამემამულე ტოკიტენკუს აუღო რევანში.

მაღალრეიტინგიანი სეკიტორების — ასასიორიუს, ხაკუხოს, კაიოს, ტიოტაიკაისა და კოტომიცუკის გარდა ჯერ ქულა არც რიგით მაეგაშირებს დეძიმას, ხოკუტორიკის, ასასეკირიუს და ფუტენოს დაუკარგავთ.

**ოთარ გალღაძელიძე**

## ჭიდაობა

# დარბაზი დარბაზამდე

## ქართველებმა თურქეთში ზარბაზანივით დაიქუხეს

**საქართველოს** ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია ვაკის განახლებული დარბაზის პრეზენტაციისთვის ემზადება. თუმცა დარბაზის ოფიციალურ წარდგენამდე ფალავანთა კლუბის კოხტა საპრესკონფერენციო დარბაზში ჟურნალისტებთან პირველი შეხვედრა მოეწყო. სასაუბრო ხომ ისეთი იყო...

ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილის ჭაბუკთა ნაკრებებმა ანკარაში ჩატარებული პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირიდან თერთმეტი მედალი ჩამოიტანეს. აქედან ოქროსი ხუთია, ვერცხლის — ორი, ხოლო ბრინჯაოსი — ოთხი. განსაკუთრებით თავისუფლებმა იყოჩაღეს. თემურ ბენდიანიშვილის ბიჭებმა ჯამში რვა მედალი მოაქუჩეს. ლაშა ლომთაძე (42კგ), ავთანდილ ჯიოევი (46კგ), ოთარ უროტაძე (76კგ) და თორნიკე ხიდეშელი (100კგ) ჩემპიონები გახდნენ, ვლადიმერ ხინჩიკაშვილმა (50კგ) და ვასილ მამულაშვილმა (54კგ) მხოლოდ ფინალები წააგეს, ხოლო დავით ხუციშვილი (58კგ) და დავით მარსაგიშვილი (74კგ) მესამე ადგილზე გავიდნენ. ვაჟა კრავეიშვილის ჭაბუკი კლასიკოსებიდან სახინო დავითაიამ (54კგ) იჩემპიონა. შალვა თოდრაძემ (85კგ) და ვასილ იმერლიშვილმა (100კგ) კი ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

თურქეთმოვლილ მოჭიდავეებს პირველმა ფედერაციის პრეზიდენტმა *კახა ვეწაძემ* მიულოცა. პრესკონფერენციის დაწყებამდე კი მასმედიას ნახევრადხუმრობით მიმართა, მადლობა, რომ ასეთ დაძაბულ სპორტულ ფონზე ჭიდაობისთვისაც მოიცალეთო.

— სასიხარულოა, რომ ახალ საპრესკონფერენციო დარბაზს ასეთი წარმატების შეჯამებით ვხსნით. მით უმეტეს, როცა საუბარი ჭაბუკთა ნაკრებს, ანუ ქართული ჭიდაობის მომავალს ეხება. შესანიშნავი თაობა რომ მოდის, ეს აქამდეც ცნობილი იყო. თურქეთში კი ამ ბიჭებმა ერთხელაც დაამტკიცეს თავიანთი რეალური ძალა. თან ტურნირში ჭიდაობის სამყაროში ამინდის შემქმნელი თითქმის ყველა ქვეყნის ნაკრები გამოდიოდა. ორ თვეში ჭაბუკებს ევროპის ჩემპიონატი ელით და მჯერა, იქიდანაც ხელდამშვენებულები დაბრუნდებიან.

სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ *დავით ნამგალაურმა* ტრადიციული მილოცვის შემდეგ ქუთაისელი ოთარ უროტაძის გამარჯვება გამოარჩია — საწყის ეტაპზევე მუხლი იღრძო და იმის მაგივრად, რომ ჭიდაობა შეეწყვიტა, ფაქტობრივად ცალი ფეხით ყველა მეტოქეს აჯობა და ჩემპიონიც გახდაო. იქვე, დარბაზში შეკრებილ ბიჭებს ევროპის ჩემპიონატზე წარმატება და 2012 წლის ოლიმპიადაზე გულშემატკივრების გახარება უსურვა.

ნაკრების თავკაცებმა წინასაევროპო სამზადისზე თქვეს. ივლისის ბოლოს ვარშავაში ჩასატარებელ ჩემპიონატამდე კრავეიშვილის და ბენდიანიშვილის გუნდები ირანის საერთაშორისო ტურნირზე და ტრაპიზონული შავი ზღვის აუზის ქვეყნების თასზე იჭიდავებენ. იქამდე კი 2-4 ივნისს, ბერძენ-რომაელები თემურ ყაზარაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირის ჩატარებას აპირებენ რუსთავში.

**ოთარ გალღაძელიძე**

## ჩოგბურთი

# როჯერი ველარ მხიარულობს

## ქალებმა რომი დაიწუნეს

**მასტერსი. ჰამბურგი. გერმანია. თიხნარი**

საპრიზო 2 200 000 $

**მეორე წრე**

**დავიდ ფერერი** (12, ესპანეთი) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 1:6 6:3 6:2; **ივან ლიუბიჩიჩი** (7, ხორვატია) — ფლორენ სერა (საფრანგეთი) 4:6 6:2 6:2; **კარლოს მოია** (ესპანეთი) — ტომაშ ბერდიხი (10, ჩეხეთი) 3:6 7:5 7:6; **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) — ტომი რობრედო (6, ესპანეთი) 6:7 6:2 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (16, ავსტრალია) — ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:2 7:6; **როჯერ ფედერერი** (16 შვეიცარია) — ხუან მონაკო (არგენტინა) 6:3 2:6 6:4

**ქალები. რომი. იტალია. თიხნარი**

საპრიზო 1 340 000 $

**პირველი წრე**

**ტატიანა გარბინი** (16, იტალია) — ფლავია პენეტა (იტალია) 6:3 7:6; **ანაბელ მედინა-გარიგესი** (ესპანეთი) — ჟენგ ჟი (ჩინეთი) 6:2 6:2; **კატერინა ბონდარენკო** (უკრაინა) — სარა ერანი (იტალია) 4:6 6:3 6:4; **მარა სანტანჯელო** (იტალია) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 6:2 6:0; **ძი იანი** (ჩინეთი) — სევერინ ბრემონდი (საფრანგეთი) 2:6 6:3 6:0

**მეორე წრე**

**პატი შნიდერი** (14, შვეიცარია) — მეილენ ტუ (აშშ) 6:4 6:0; **სერენა უილიამსი** (8, აშშ) — მიქაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) 6:4 6:1; **ელენა დემენტიევა** (10, რუსეთი) — კატალინა კასტანო (კოლუმბია) 6:4 6:3; **დინარა საფინა** (6, რუსეთი) — კაია კანეპი (ესტონეთი) 7:6 6:2; **იულიანა ფედაკი** (უკრაინა) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 1:6 6:2 6:2

**ნელ-ნელა** გახურდა ჰამბურგის მასტერსი და კორტზე ბობოლებიც გავიდნენ. ერთი ეგაა, რომ გერმანიის ამ საპორტო ქალაქში ორი დღეა, წვიმა გვარიანად უშლის ხელს ორგანიზატორებსაც, გულშემატკივრებსაც და თავად ჩოგბურთელებსაც, რომლებსაც რამდენჯერმე მოუწიათ თავიანთი მატჩების შეწყვეტა.

გუშინ ცხოველ ინტერესს როჯერ ფედერერის თამაში იწვევდა — გულშემატკივარ-სპეციალისტები ბოლო პერიოდში უჩვეულოდ საზიზღრად მოთამაშე შვეიცარიელისგან ძველებურ ფრენას ელოდნენ. მაგრამ, ნურას უკაცრავად — „მხიარულ როჯერს“, მართლაც, ძალიან მძიმე დრო უდგას. მის თამაშში აღარ არის ის ჩვეული სიიოლე და სინარნარე, რაც ყოველთვის სხვებზე ერთი თავით მაღლა აყენებდა. ამის დასტურად ალპელის ხუან მონაკოსთან ორსაათნახევრიანი წვალებაც კმარა, რომელშიც ფედერერმა კი მოიგო, მაგრამ წაგებაც თავისუფლად შეეძლო.

აღსანიშნავია მოქმედი ჩემპიონის გავარდნა — ტომი რობრედომ წლეულს პირველივე შეხვედრაში დაყარა ფარ-ხმალი ახალგაზრდა თანამემამულე ნიკოლას ალმაგროსთან, რომელსაც აქამდე ჰამბურგში ერთხელაც არ ემარჯვა.

მესამე წრეშია კიდევ ერთი ესპანელი დავით ფერერი, რომელმაც, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და რობინ სოდერლინგი კარიერაში პირველად დასცა. არადა, აქამდე პირინეელი ოთხჯერ დაეჭიდა შვედს და ოთხჯერვე თავჩაქინდრულმა დატოვა კორტი. ისე, ფერერს თითქოს ამჯერადაც იგივე ემუქრებოდა, რადგანაც პირველი სეტი პირწმინდად წააგო, მაგრამ დროულად მოეგო გონს და მომდევნო ორ პარტიაში სკანდინავი გერმანულ თიხაში აზილა.

აღარ ხუმრობს ლეიტონ ჰიუიტი, რომელსაც თანდათანობით გამოცოხლება ეტყობა. ჩანს, ოზმა ბიჭმა ტრავმიანი პერიოდი უკან მოიტოვა და ამით იმდენად არის გახარებული, აღარ დაგიდევთ, რა საფარზე და ვისთან თამაშობს. ყოველ შემთხვევაში, ავსტრალიელმა თიხნარზე მიყოლებით დასცა ორი არგენტინელი, რაც კარგა ხანია, არ გაუკეთებია.

ლეთარგიული ძილიდან თავის დაღწევას ცდილობს ივან ლიუბიჩიჩიც. უკანასკნელი ორი სეზონის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ჩოგბურთელი წლეულს უცნაურად სუსტად გამოდის — წლის დასაწყისში, დოჰაში გამარჯვების შემდეგ, ხეირიანი ცოტა რამ თუ გამოუვიდა, მაგრამ ჰამბურგში ჯერჯერობით კარგად დაიწყო და თავიდან წვალების მიუხედავად, მესამე წრეში მაინც გავიდა, რასაც ისევ თავის მოწოდებას უნდა უმადლოდეს — ფლორენ სერა ხორვატმა 13-ჯერ დაავისა.



სერენა უილიამსი

აი, რომში მიმდინარე ქალთა ტურნირი კი ჯერჯერობით მხოლოდ იმით გამოირჩევა, რომ იქ თამაშზე მიყოლებით ამბობენ უარს ტოპმეჩოგნეები. გუშინ მოგახსენეთ, რომ იტალიის დედაქალაქში სტუმრობაზე თავაზიანი უარი განაცხადეს მარია შარაპოვამ და ჟუსტინ ენინმა. ამათ გუშინ კიდევ ორი ჩოგბურთელი შეუერთდა — ოღონდ რუსისა და ბელგიელისგან განსხვავებით, ნიკოლ ვაიდიშოვა და ანა ივანოვიჩი რომს მაინც ეწვივნენ, მიიხედ-მოიხედეს და ეტყობა, რაღაც არ მოეწონათ, რადგანაც კორტზე გასვლა ერთხელაც არ ინებეს.

სამაგიეროდ, საინტერესო იყო სერენა უილიამსის თამაში, რომელიც წლეულს პირველად გავიდა თიხნარზე და საკმაოდ მძიმედაც გამოიყურებოდა. მიკაელა კრაიჩეკმა გოროზი ამერიკელი პირველ სეტში ბლომად არბენინა და აწვალა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, მაჯა აუკანკალდა და პარტია მაინც ამერიკელს ჩააბარა. მეორე სეტში კი ჰოლანდიელი მაჯასთან ერთად, მთელმა ხელმა დაალალატა — საერთოდ, კუნთი გაიჭიმა და ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია გამარჯვებაზე დაგეშილ უილიამსს.

**კახა ლომაძეიშვილი**

## საქართველოს მე-17 ჩემპიონატი
### კაცები. მესამე ადგილისთვის. I მატჩი

# ბრინჯაოს იმედი ქარიშხალმა გაიტაცა

16 მაისი

**ქარიშხალა 32:23 იმედი**

ქარიშხალა: გიგა ტორონჯაძე, ქანთარია, სხიერელი (გაიტანა 11 გოლი), ზაალიშვილი (7), მელქოშვილი (5), მუმლაძე (3), ოთარ ამირანაშვილი (2), ჯიშკარიანი (2), ირაკლი ტორონჯაძე (1), ჯორბენაძე (1), ჯოხარიძე, მუმლაძე, ჩიხლაძე, სეთურიძე

იმედი: გონჩაროვი, ვახანია, ყაველაშვილი (8), ქარდავა (5), ჟღენტი (4), მაისურაძე (4), ლომიძე (2), თეთრუაშვილი, კერესელიძე, ბიდოდაშვილი

მსაჯები: ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

დელეგატი: თამაზ ჩხარტიშვილი

**ძნელი** სავარაუდო იყო, რომ ბრინჯაოს მედლებისთვის მებრძოლთა შეხვედრა ერთ-ერთი მეტოქის უზარმაზარი უპირატესობით დასრულდებოდა, არადა, სწორედ ასე მოხდა.

ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ცენტრის „ქარიშხალა-



სა"და „ხელბურთის კლუბ თბილისის" ფარმგუნდ „იმედის" გუშინდელ პირველ სამესამედგილო დაპირისპირებამდე მცირედი უპირატესობა იმედელთა მხარეს იყო — რეგულარულ ჩემპიონატში კონკურენტთა ოთხი მატჩიდან ერთი ფრედ დასრულდა, ერთი „ქარიშხალამ" მოიგო, მერე კი ორჯერ „იმედმა" იმარჯვა.

გუშინ ცენტრელებმა გლდანში მაქსიმალურად გამოიყენეს საკუთარი მოედნის უპირატესობა, თავიდანვე საგრძნობლად დაწინაურდნენ — 3:0, 7:4, ხოლო ტაიმის ბოლოს სხვაობა გაარმაგეს კიდეც — 14:7.

ერთი სიტყვით, მატჩის ბედი უკვე შესვენებამდე გადაწყდა, გასარკვევი ის რჩებოდა, თუ რამდენბურთიანი სხვაობით გაიმარჯვებდნენ ქარიშხლელები, რადგან მედალოსნების ვინაობა ხომ ორი თამაშის შედეგად გამოვლინდება.

მასპინძლებმა საფინალო სასტვენის წინ სხვაობა კიდევ უფრო გაზარდეს, რაშიც უმთავრესი დამსახურება მიუძღვით მათ რიგებში აშკარად საუკეთესო მოთამაშეს, 11-ჯერ გამტან რეაქტიულ ფორვარდ ირაკლი სხიერელს და ბრწყინვალე რეაქციის მქონე გოლკიპერ გიგა ტორონჯაძეს, რომელმაც ორი პენალტი და კიდევ არაერთი „მკვდარი" ბურთი მოიგერია.

საპასუხო თამაში ხვალ „იმედის" ტერიტორიაზე, არმიის სპორტული კლუბის დარბაზში შედგება.

**გია ახალაძე**



## იტალიური და ამერიკული იახტები ერთმანეთის ღირსნი არიან



AFP ფოტოები



## პლეი ოფი. ნახევარფინალი

# მაიკ ბებკოკის ახალი კოკა
### დასავლეთი

**დეტროიტი 2:1 ანაჰაიმი**

**მესამე მატჩი**

**ანაჰაიმი 0:5 დეტროიტი**

*0:2 0:2 0:1*

0:1 ფრენცენი (12, სამუელსონი, ზეტერბერგი), 0:2 ჰოლმსტრომი (20, უმრ. ზეტერბერგი, ლიდსტრომი), 0:3 ბერტუცი (24, კლირი, ლანგი), 0:4 ჰოლმსტრომი (24, ფილპულა, დაციუკი), 0:5 ფილპულა (51, ჰოლმსტრომი, ლიდსტრომი)

დეტროიტში გამართული ორი ძალიან დაძაბული და თანაბარი ჯახის შემდეგ, როდესაც მასპინძლებმა და „ანაჰაიმმა" თითოჯერ იმარჯვეს, კალიფორნიაში ასეთივე სტილის შეხვედრებს ელოდნენ, სადაც ყველაფერი ისევ მატჩის ბოლოსკენ უნდა გარკვეულიყო. მაგრამ, არა — „წითელფრთიანებმა" გუშინ ნამდვილი შოუ დადგეს და გასვლაზე „იხვები" გვარიანად დაპუტეს.

მიჩიგანური გუნდის ასეთი წარმატების მთავარი შემოქმედი უცილობლად მწვრთნელი მაიკ ბებკოკია, რომელმაც ორიოდ დღის წინ წაგებული მატჩის შემდეგ რამდენიმე ცვლილება მოახდინა. ბებკოკმა, პირველ რიგში, დაშალა თავისი მთავარი შემტევი სამეული — პაველ დაციუკსა და ტომას ჰოლმსტრომს ჰენრიკ ზეტერბერგის მაცვლა და მის ადგილას ახალბედა ფინელი ვალტერ ფილპულა ჩასვა. ზეტერბერგს კი პარტნიორებად თანამემამულეები — იუჰან ფრანცენი და მიკაელ სამუელსონი ამოუყენა და ამით გუნდის შემტევი პოტენციალი ერთბაშად რამდენიმე სამეულზე გადაანაწილა, რითაც „ანაჰაიმის" დაცვითი სქემები გვარიანად არია.



დომინიკ ჰაშეკმა მიმდინარე პლეი ოფში მეორე შათაუტი გააკეთა

შედეგად, მიჩიგანელებმა მშვენივრად ითამაშეს და სერიაში დაწინაურებასთან ერთად, მოედნის უპირატესობაც დაიბრუნეს. მატჩის უდავო გმირად კი ჰოლმსტრომი იქცა, რომელმაც ორ შაიბას საგოლე პასიც დაურთო. უნდა აღინიშნოს უბრებელი დომინიკ ჰაშეკის დიდებული გარჯაც, რომელმაც პირწმინდად ჩაზურა თავისი კარი და ამ პლეი ოფში მეორე შათაუტი გააფორმა. სულ კი კარიერის განმავლობაში პლეი ოფში „დომინატორს" 14 მატჩი უთამაშია ნულზე.

სტუმართა ფრენას მასპინძლებმა მხოლოდ უხეშობების მთელი სერიით უპასუხეს. ამ მხრივ, ჰოლსტრო იმის წინააღმდეგ ჩატარებული ძალიან ბინძური ილეთით კრის პრონგერმა გამოიჩინა თავი, რის გამოც „იხვების" დაცვის ერ-ერთ ბურჯს, სავარაუდოდ, მინიმუმ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

**კახა ლომჯაშვილი**

# წითელმა მთვარემ მისანი დააბრმავა

**ლუი ვუტონის** თასის ფავორიტმა და მსოფლიოს საუკეთესო იახტების პრეტენზიის მქონე „ბმვ ორეკლმა" ჯგუფური ეტაპის სულ უკანასკნელ შეჯიბრში „თიმ ნიუ ზილენდთან" მარცხით გვარიანად გაიმრუდა გზა-კურსი. ამ წაგების გადამკიდე, ამერიკული იახტა ჯგუფურში თავისდა მოულოდნელად მეორე ადგილზე გავიდა და ნახევარფინალში სუსტი ესპანური „დესაფიოს" მაგივრად, უგამოცდილესი იტალიური „ლუნა როსა" შეხვდა.

„ლუნა როსა" ქართულ თარგმანში „წითელი მთვარეს" ნიშნავს. იტალიურ იახტასთან პაექრობა მისისპის მდორე წყლებში ნავით ტაატი რომ არაა, ეს ამერიკელებმა იმთავითვე იცოდნენ, „ლუნა როსა" ხომ 1999 წლის ლუი ვუტონის თასის გამარჯვებულია, მაგრამ მაინც იმედიანად იყვნენ, რაკი იტალიელები ბოლო 6 შეჯიბრში 5-ჯერ დაამარცხებინათ, მაგრამ დაიწყო ნახევარფინალი და ამერიკელები მაშინვე მიხვდნენ, რომ ფინალის საგზური ჯიბეში არ ჰქონდათ. 14 მაისს ვალენსიური მცხუნვარე მზე „წითელი მთვარისთვის" ანათებდა — იტალიელებმა თავიდანვე უკეთ შეარჩიეს კურსი, ქარიც გამოიცნეს და პირველ ტივტივსაც რომ შემოუარეს, მერე ბოლომდე მდევრად ამყოფეს „ბმვ" — 1:0. ბრძოლა კი 5 მოგებამდეა.

ეს არაფერი, ამერიკელთა გულის გასახეთქად, შემდეგი გაცურვაც იტალიელების კარნახით წარიმართა, კვლავ ისინი გალიდერდნენ, მაგრამ ამჯერად ამერიკელებმა მოახერხეს და ნასაში აწყობილ თავიანთ სუპერიახტას შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოსწურეს, თითქმის დისტანცია ძალიან ახლო მიჰყვნენ და ზედ ფინიშთან აცალეს გამარჯვება იტალიურ ეკიპაჟს. არადა, „ლუნა როსას" რომ მოეგო და 2:0 დაწინაურებულიყო, ამერიკული ნავი ფავორიტის სტატუსსაც დაკარგავდა და ვინ იცის, თავდაჯერებაც მიეცემოდა, რაც ფინალის საგზურის დაკარგვად დაუჯდებოდა.

მეორე ნახევარფინალში ყველაფერი სხვაგვარად და უინტრიგოდაა — „თიმ ნიუ ზილენდს" ანძის წვერზე ჰკიდია, ესპანურ „დესაფიოს" მისსავე წყლებში რომ ხვდება. ამ კლასის იახტებში უმაღლესი ჯილდოს, ამერიკის თასის 1995 და 1999 წლებში მომგები ახალზელანდიელები დამაჯერებლად უსწორდებიან ნახევარფინალში ტურისტად შეღიღლიებულ ესპანელებს — უკვე 2:0 უგებენ და ვინ იცის, მეტოქე იქნებ სულაც მოუგებლად დატოვონ.

**კოტე ყორშია**

# უეფას თასი 2006-2007 ფინალი

# ევროპა პალოპა!
## სევილია ორივე კარში მაგარია

გლაზგო. „ჰემპდენ პარკი“. 50 670 მაყურებელი

ესპანიოლი (ესპანეთი) 2:2დ.დ. (1:3პენ; 1:1) სევილია (ესპანეთი)

0:1 ადრიანუ (18), 1:1 რიერა (28), 1:2 კანუტი (105), 2:2 ჟონატასი (116)

*პენალტების სერია:*

*0:1 კანუტი, 0:1 ლ. გარსია (მეკარე), 0:2 დრაგუტინოვიჩი, 1:2 პანდიანი, 1:2 დანიელ ალვეში (ააცილა), 1:2 ჟონატასი (მეკარე), 1:3 პუერტა, 1:3 ტორეხონი (მეკარე)*

ესპანიოლი: ირაისოსი, დ. გარსია, საბალეტა, დე ლა პენია (ჟონატასი 87), ლ. გარსია, რიერა, რუფეტე (პანდიანი 57), ტორეხონი, ხარკე, ურტადო, ტამუდო (ლაკრუზი 72)

მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე

სევილია: პალოპი, ხავი ნავარო, დანიელ ალვეში, ადრიანუ (რენატო 76), პოულსენი, ლ. ფაბიანო (კერჟაკოვი 63), დრაგუტინოვიჩი, მარტი, პუერტა, მარესკა (ხესუს ნავასი 46), კანუტი

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

გაფრთხილება: ურტადო (12), ფაბიანო (61), ურტადო (68), კანუტი (82), პუერტა (115)

გაძევება: ურტადო (68)

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

### ინგლისი
ჩემპიონატი
პლეი ოფი. 1/2 ფინალი
საპასუხო მატჩი

ვესტ ბრომვიჩი 1:0 ვულვზი (3:2)

### შვეიცარია
სუპერლიგა. XXXIV ტური

აარაუ 0:0 გრასჰოპერი
ბაზელი 2:0 სიონი
სენტ გალენი 1:1 შაფჰაუზენი
თუნი 0:1 იანგ ბოისი
ციურიხი 2:0 ლუცერნი

ჩელენჯლიგა. XXXII ტური

ბოლმი 2:1 ლოზანა
ბელინცონა 1:0 დელემონი
კრინსი 1:2 ძსამაძსი
შო დე ფონი 1:1 ვილი
ლუგანო 3:3 სერვეტი
ვინტერთური 4:1 ლოკარნო
ვოლენი 2:3 კონკორდია
იუვენტუსი 1:2 ვადუცი
ივერდონი 3:2 კიასო

### ნორვეგია
ტიპელიგა. VII ტური

ბრანი 2:2 ფრედრიქსტადი
სტაბეკი 1:0 ოდ გრენლანდი
სტრიომსგოდსეტი 0:4 ალესუნდი
ტრომსიო 2:1 ლილესტრიომი
ვოლერენგა 2:0 სანდეფიორდი
ვიკინგი 4:2 ლინი
რუსენბორგი 4:1 სტარტი

პირველი დივიზიონი
IX ტური

ბოდიო გლიმტი 2:1 ტრიომსდალენი
ჰამ კამი 2:1 ბრინი
ჰიონეფოსი 1:0 ლოვ ჰამი
კონგსვინგერი 0:2 ჰაუგესუნდი
მანდალი 2:3 რაუფოსი
ნოტოდენი 0:2 მოსი
სკეიდი 0:1 მიოლდე
სპარტა 2:2 სოგნდალი

### ჩეხეთი
თასის ნახევარფინალი

იაბლონეცი 0:0დ.დ. (4:2პ) ბუდეიოვიცე

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა. V ტური

ოულუ 2:0 ტამპერე
იარო 0:0 კტპ
ჰაკა 1:0 ვაასა
ტურკუ 3:1 ლაჰტი

### პოლონეთი
პირველი ლიგა
გადადებული მატჩი

არკა — ვიძევი გადაიდო

ლიგის თასი
1/4 ფინალი. პირველი მატჩი

ლეხი 2:2 ვისლა

### სლოვენია
I ლიგა. XXXIV ტური

ბელა კრაინა 0:2 დრავა პტუი
დომჟალე 3:0 ნაფტა
მარიბორი 1:1 პრიმორიე
ნოვა გორიცა 1:7 კოპერი
პუბლიკუმი 1:1 ფაქტორი

### ბულგარეთი
ვიშა ლიგა. XXVIII ტური

ბელასიცა 2:0 სპარტაკი
ჩერნო მორე 1:0 ლიტექსი
ჩერნომორეცი 0:2 ბოტევი
ლევსკი 6:1 ლოკომოტივი (პლ)
ლოკომოტივი (ს) 1:0 ბეროე
მარეკი 1:0 ცსკა
როდოპა 3:1 რილსკი
ვიჰრენი 3:2 სლავია

### შვედეთი
თასის 1/16 ფინალი

ვასბი 3:2დ.დ. (2:2) უმეა
კარლსტადი 1:1დ.დ. (3:4პ) ჰამარბი
ვარნამო 1:5 კალმარი
ბოდენსი 1:2დ.დ. (1:1) იორგრიტე
სკოვდე 2:1 ასირისკა

### სლოვაკეთი
პირველი ლიგა
პლეი ოფი. XI ტური

ბანსკა ბისტრიცა 1:2 რუჟომბეროკი
ნიტრა 0:2 სლოვანი

### ამხანაგური მატჩი

ტაილანდი 1:0 ჩინეთი




AFP

**სევილიელ** დანიელ ალვეშს ფინალის წინ უთქვამს, თასი თუ მოვიგეთ, ტორეადორის სამოსში გამოვეწყობი და ისე ვივლიო. არა გვგონია, ალვეშს ტორეადორობაზე ეფიქროს, მესამე პენალტისტად რომ გაამწესეს და, მით უმეტეს, მაშინ, დარტყმა კარს რომ ააცილა.

მაგრამ მისი გუნდისთვის მაინც ყველაფერი ბედნიერად დასრულდა, წლების მერე კი სტატისტიკოსები გაიხსენებენ, რომ ევროპაში ორად ორი გუნდია, მიჯრით ორჯერ რომ მოუგიათ უეფას თასი — 80-იანი წლების შუაში ეს „რეალმა“ მოახერხა.

შენიშნავდით: „რეალიც“ და „სევილიაც“ ესპანური გუნდებია და წლევანდელი ფინალიც წმინდა ესპანური იყო.

ხოლო „ესპანიოლმა“ ისევ პენალტების სერიაში დათმო თასი — იმავ 80-იან წლებში უეფას თასის ფინალი „ლევერკუზენთან“ წააგო პენალტებით. გუშინდელი მარცხით კი, ბარსელონელებმა თასისა და გაისად ისევ ევროთასზე თამაშის უფლების გარდა უფრო მიწიერი საჩუქრებიც წააგეს — აკი, კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ფეხბურთელებზე 24-ათასიან მანქანებს იყო შეპირებული...

ჩვენ არ ვიცით, რას იყო შეპირებული „სევილიას“ პრეზიდენტი მეკარე ანდრეს პალოპს, ის კი ვიცით, რაოდენი წვლილი შეიტანა პალოპმა „სევილიას“ გამარჯვებაში.

ცოტა შორიდან თუ მოვყვებით, მეტოქის საჯარიმოში ჩასულმა პალოპმა ჯერ კიდევ მერვედფინალში „შახტარს“ გაუტანა გოლი ბოლო წუთზე, გუშინდელ ფინალში კი...

დავითვალოთ: პირველ ტაიმში აღებული ორი ძალიან რთული ბურთი; ერთიც მეორე ტაიმში, როცა მისი ხელიდან ბურთი ხარიხას მოხვდა; საგოლე პასი ადრიანუს პირველი გოლისას და, რაც უიშვიათესი ამბავია — ეს საგოლე პასი მეკარემ ფორვარდს მეტოქის ნახევარზე ხელით მისცა; ბოლოს კი პენალტების სერია, რომელშიც მან ოთხიდან სამი დარტყმა მოიგერია.

ერთი სიტყვით, ანდრეს პალოპი ნაღდად შეგვიძლია, მატჩის გმირად მოვნათლოთ, თუმცა, ცხადია, არც სხვა გმირები და ამბები უნდა დავივიწყოთ.



გმირი: ანდრეს პალოპი!

AFP

პირველ ტაიმში სევილიელთა ორ კარგ იერიშს ესპანიოლელებმა ორი უკეთესი ეპიზოდი მიაყოლეს და ანგარიშიც გაქვითეს — რიერამ ფლანგზე მეურვე ჩამოიშორა, მცირე პაუზა გააკეთა და აუღებელი დაარტყა.

მეორე ტაიმში „ესპანიოლი“ კაცნაკლულიც დარჩა, როცა მეორე გაფრთხილებით მოიზეს ურტადო გააძევეს, მაგრამ ერთხანს ისე ჩანდა, რომ „სევილიამ“ ამით სარგებლობა ვერ მოახერხა — თამაში ისე გაგრძელდა, როგორც ურტადოს გაძევებამდე იყო.

როგორც ყველაფერს, ფინალის ძირითად დროსაც დასასრულმა უწია და აქაც გავიხსენოთ, რომ შარშანდელ ფინალში „სევილიამ“ ყოველგვარი დამატებითი დროისა თუ პენალტების გარეშე 4:0 მოუგო ინგლისურ „მიდლსბროს“.

ხოლო როცა პირველი დამატებითი ტაიმის ბოლო წუთზე ფლანგური გადაცემით ფრედერიკ კანუტმა ახლო მანძილიდან ახლო კუთხეში გაუტანა გორკა ირაისოსს, თითქოს ეს გოლი დასასრულის მანიშნებული უნდა ყოფილიყო — მით უმეტეს, მეორე დამატებითი ტაიმის თითქმის ნახევარი ისე გაილია, „ესპანიოლს“ ხეირიანი მომენტი არ შეუქმნია.

და მაინც: გოლი, რომელმაც თამაში პენალტებამდე მიიყვანა, გავიდა.

ეს გოლი ჟონატასმა შორიდან დარტყმით შეაგდო და იმდენად უნაკლო დარტყმა იყო, პალოპის დადანაშაულება არაფრით შეიძლება.

და დადგა პენალტების ჯერიც, რომელშიც უკეთესი მდგომარეობა „სევილიას“ ჰქონდა. იმას ვგულისხმობთ, რომ ესპანიოლელთა ის ფეხბურთელები, რომელთაც, წესით და რიგით, თერთმეტმეტრიანების შესრულება ყველაზე უკეთ შეეძლოთ, უკვე შეცვლილები იყვნენ. ჰოდა, საქმე მეხუთე დარტყმამდეც არ მისულა — „სევილიამ“ ოთხიდან სამი შეაგდო, „ესპანიოლს“ კი ოთხიდან სამი პალოპმა უაღო.

თასი „სევილიას“ დარჩა!

**კოტე კეკელია**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაკო ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლარიშვილი, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00